# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 10 აპრილი 1997 №40 (405) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სკანდალი**

„ტორპედოსთან“ მატჩზე „მერანი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე გაემგზავრა. რა მოხდა? რამ აიძულა აღმა მავალი გუნდის მწვრთნელი დაეტოვებინა თანამდებობა? სიმართლის დასადგენად „მერანის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს და თავად თემურ მახარაძეს მივმართეთ.

# უთავო მერანი

## ნუგზარ ნავაძე: ჩვეწნას არავის დავუწყებ

## თემურ მახარაძე: უღირსს შვილსაც არ ვათამაშებ


ნავაძე ჯიშკარიანი მახარაძე

**ნუგზარ ნავაძე, „მერანის“ პრეზიდენტი**

— სულ ერთი წელია, თემურ მახარაძე მთავარ მწვრთნელად მუშაობს და უკვე ოთხჯერ მთხოვა განთავისუფლება. ბოლოს „ბათუმთან“ შეხვედრის წინ მთხოვა ეს. მატჩის შემდეგ კი გვითხრა, კარგია, ყველა აქ რომ ხართ, პრეზიდენტიც და დამფუძნებლებიც, გუნდიდან გამიშვითო. იმ ხალხის თანდასწრებითაც და მერეც ვურჩიე, ემოციებით არ ეხელმძღვანელა და კარგად დაფიქრებულიყო. თუმცა, ჩანს, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მას დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს, მადლობას ვუხდი გაწეული მუშაობისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, წასვლა ამჯობინა და ღმერთმა ხელი მოუმართოს. „მერანიდან“ ერთ-ერთი მწვრთნელი გიორგი ჯიშკარიანიც წავიდა.

**— ის რატომღა წავიდა?**

— მახარაძესა და ჯიშკარიანს შორის მოხდა კონფლიქტი, რომელიც ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა, რამაც მომცა საფუძველი, ორივეს წასვლას შევგუებოდი. მიზეზის ძებნა კი არაა მთავარი, არამედ ის, რომ კონფლიქტი მოხდა.

**— მიზეზითაც დაინტერესდებოდით.**

— მიზეზი, ვისაც უნდა, იმან იძიოს. ჩემთვის, გითხარით, მთავარი კონფლიქტია. მიზეზის ძიებამ შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს, ეს კი ჩემი საკეთებელი საქმე არ არის.

**— მახარაძის გარეშე მეოთხე ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ?**

— გუნდი სათუთი მექანიზმია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ წითელ კოჭს არავის გავუგორებ. განა შეიძლება, წელიწადში ოთხჯერ პრეზიდენტს განთავისუფლება სთხოვო?

**— მოთამაშეები მახარაძის დაბრუნებას ითხოვენო...**

— ეს ფეხბურთელების გადასაწყვეტი არ არის.

**თემურ მახარაძე, „მერანის“ ყოფილი მწვრთნელი**

— ჩემი გადაწყვეტილება გარკვეულმა გარემოებებმა განაპირობა: „მერანში“ მისვლის დღიდან 20 ფეხბურთელიდან მხოლოდ ექვსი დავტოვე, გავუშვი ისინი, რომლებმაც გუნდი პირველ ჯგუფში გადმოიყვანეს. ეს ჩემთვის უძნელესი გადაწყვეტილება იყო. არადა, რანგით მაღალ ლიგას მაღალი კლასის მოთამაშეები სჭირდებოდა. სწორედ ძველების გაშვებამ დაძაბა ვითარება. დიდ ზეწოლას ვგრძნობდი დათხოვილი მოთამაშეებისა და მათი მშობლების მხრიდან. ისინი გუნდში დაბრუნებას ითხოვდნენ, თვლიდნენ, რომ მათი გაშვება არასწორი იყო. ვინ იყო მართალი, ეს, ვფიქრობ, „მერანის“ სატურნირო მდგომარეობამ ცხადყო.

**— თქვენს საწინააღმდეგო ერთ-ერთ არგუმენტად დავითაშვილის ძირითადში უთამაშებლობასაც ასახელებენ, მას კი ხშირად გაჰქონდა გოლები. მავანთა აზრით, ჩაგრავდით...**

— გაშვება რომ მდომებოდა, არ დავყაბულდებოდი მისი მოსურნე „ივერიასა“ და „კახეთის“ მწვრთნელების თხოვნას? ეს ხომ ლოგიკას ეწინააღმდეგება. დავითაშვილი ნიჭიერი მოთამაშე კია, მაგრამ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები მოვიწვიეთ და „აბრეზა“ ნაწილობრივ დაიჩრდილა, რაც სულაც არ ნიშნავს მის უგულებელყოფას.

**— ახლა მთავარზე, თქვენსა და გიორგი ჯიშკარიანს შორის მომხდარ კონფლიქტზე...**

— თავის დროზე „დინამოდან“ ჩემი წამოსვლა, იცით, რამ განაპირობა? ერთხელ გივი ნოდიას ვუთხარი, ფიზიკურ მომზადებასა და ტაქტიკაზე მეტი მუშაობა გვმართებსო. ჯიშკარიანი კი, ერთ-ერთი მწვრთნელი, ყველანაირი ხერხით, მათ შორის სიტყვიერი შეურაცხყოფითაც, მისი შვილის, მცველ დათო ჯიშკარიანის შემადგენლობაში დაყენებას ითხოვდა. ეს, დამეთანხმებით, კოლეგიალურ და თუნდაც ეთიკურ საზღვრებს სცილდება. სწორედ ამან გამოიწვია კონფლიქტი. მე ძლიერი გუნდის შექმნა მსურს და თუ ჩემი შვილი არ დაიმსახურებს, ფეხბურთს არ გავაკარებ.

არავინ იფიქროს, თითქოს კლუბის ხელმძღვანელებთან მომივიდა კონფლიქტი. ნუგზარ ნავაძეს და თბილტრანსის თავკაც ზურაბ ბაბუნაშვილსაც დიდ პატივს ვცემ და ვემადლიერები, მაგრამ „მერანის“ ხელმძღვანელობაში ბევრი არაპროფესიონალია, რომლებთანაც მუშაობა მიჭირდა. სწორედ ამის გამო ვთხოვე რამდენჯერმე პრეზიდენტს განთავისუფლება. გუნდის წარმატების ქვაკუთხედი პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის ურთიერთობაა, რაც, მაგალითად „დინამოში“, მშვენივრად არის მოგვარებული. იქ მთავარი მწვრთნელის მოთხოვნით შედეგისთვის ყველა და ყველაფერი იწირება. „მერანში“ პირიქით მოხდა — მთავარი მწვრთნელი ყველას და ყველაფერს შეეწირა.

## ლისაბონს ნარბონის გავლით

საქართველოს რაგბის ნაკრებს პორტუგალიაში ფირას პირველობის ნახევარფინალი 19 აპრილს აქვს სათამაშო, მაგრამ ევროპისკენ გუშინვე გაუტია. ბორჯღალოსნები გაფრინდნენ ფრანკფურტს, საიდანაც სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ ნარბონში ჩავლენ და იქ საწვრთნელ შეკრებას გამართავენ.

მწვრთნელებმა გურამ მოდებაძემ, დავით კილასონიამ და მალხაზ ჭეიშვილმა ნაკრებში 23 მოთამაშეს უხმეს. შუამარბ პავლე ჯიმშელაძისა და ბურჯ ლევან ცაბაძის გარდა გუნდში რუსეთის უკლებლივ ყველა მძლეველია. რუსეთთან არ უთამაშიათ რეხვიაშვილს, მაჭუტაძეს, ჯაფარაშვილს, ჯანელიძესა და ძოწენიძეს.

სრული შემადგენლობა ასეთია — უკანა ხაზი: 15 ნიკო იურინი (პენზა, რუსეთი), 14-11 მერაბ ბესელია (გუმარი), არჩილ ქავთარაშვილი (როვიგო, იტალია), გიორგი ბუგიანიშვილი (გუმარი); 13-12 პაატა ძოწენიძე (რუსთავის ქიმიკოსი), კახა ალანია (ქორები), ლევან ჩიქვინიძე (გუმარი); 10 კახა მაჩიტიძე (გუმარი); 9 შოთა მოდებაძე და შავლეგ ჯანელიძე (ორივე გუმარი)

მორკინალები: 1-2-3 მეველუდ მთიულიშვილი (გუმარი), გელა ფირცხალავა და ზურაბ რეხვიაშვილი (ორივე ქიმიკოსი), კაკო მაჭუტაძე (ქორები); 4-5 გია რაფავა (შატორუ, საფრანგეთი), ვანო ნადირაძე (გროლიო, საფრანგეთი); სოსო პარწიკანაშვილი (გუმარი); 6-7-8 დიმა ობოლაძე (კაპიტანი) და კახა კობახიძე (ორივე გუმარი), ზაზა ლეჟავა (ყოჩები), გია ლაბაძე (პენზა, რუსეთი), გია გიუნაშვილი და რეზო ჯაფარაშვილი (ორივე ქორები).

**საქართველოს ჩემპიონატი**

## 21 ტური

| | | |
|---|---|---|
| ოდიში | 2:1 | სამგურალი |
| სიონი | 2:1 | გურია |
| დილა | 3:0 | კახეთი |
| ტორპედო | 2:0 | მერანი |
| გორდა | 2:1 | მარგვეთი |
| სამტრედია | 0:0 | კოლხეთი |
| ბათუმი | 0:1 | დინამო |
| ივერია | 2:1 | თსუ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 68:15 | 53 |
| ბათუმი | 21 | 13 | 6 | 2 | 50:12 | 45 |
| კოლხეთი | 21 | 13 | 4 | 4 | 46:21 | 43 |
| მერანი | 21 | 11 | 5 | 5 | 31:20 | 38 |
| ტორპედო | 21 | 11 | 2 | 8 | 49:39 | 35 |
| ოდიში | 21 | 10 | 1 | 10 | 36:28 | 31 |
| მარგვეთი | 20 | 10 | 1 | 9 | 32:39 | 31 |
| გურია | 21 | 8 | 3 | 10 | 24:41 | 27 |
| დილა | 20 | 7 | 6 | 7 | 22:25 | 27 |
| სამტრედია | 21 | 7 | 2 | 12 | 22:40 | 23 |
| სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15:23 | 22 |
| გორდა | 21 | 6 | 2 | 13 | 28:42 | 20 |
| თსუ | 21 | 4 | 8 | 9 | 21:27 | 20 |
| სამგურალი | 20 | 5 | 4 | 10 | 19:37 | 19 |
| ივერია | 20 | 4 | 5 | 11 | 16:36 | 17 |
| კახეთი | 21 | 5 | 1 | 15 | 12:45 | 11 |

XXI ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ 2-3 გვერდზე


გუშინწინ რუსთავში: „გორდა“ — „მარგვეთი“. ვეფხია გვენცაძის კარს ხანდახან უპატრონო ძაღლიც იცავდა, მაგრამ „მარგვეთმა“ მაინც წააგო

## ჩემპიონთა ლიგა

ნახევარფინალი

CHAMPIONS LEAGUE

### დორტმუნდი 1:0 მანჩესტერი

**დორტმუნდი:** კლოსი, კრეე, როიტერი, ფაიერზინგერი, ჰაინრიხი, ლამბერტი, პაულუ სოუზა, ტრეჩოკი (რაინჰარტი 85), მიოლერი, რიკენი (ფროინდი 90), ჰერლიხი (ვოლტერსი 92)

**მანჩესტერი:** ვან დერ ჰაუვი, გ. ნევილი, ირვინი, პალისტერი, იონსენი, კინი, ბათი, ბექემი, გიგზი (სქოულზი 83), კანტონა, სოლსკიაერი (კოული 75)

**გოლი:** ტრეჩოკი (76)

...ჩვეულებრივი მოკვდავი ადგება, იყიდის ავტობუსის ან მატარებლის ბილეთს, ანაც საერთოდ საკუთარ მანქანაში ჩაჯდება და წავა. საათნახევარში, ჰა-ჰა, ორ საათში ჩავა.

...კაცი რომ მარცხენა ფეხზე ადგება, წასულია მისი საქმე. „ჩვენთან ხომ მოინდომებსო“ — დევიდ ბექემის წუხანდელი თამაშის შემხედვარე უნებურად მოგადგებოდა ენაზე კაცს. არა, თამაში ის სიტყვა ნამდვილად არაა, ნაცოდვილარი სჯობს. 30 აპრილსაც რომ ასე ითამაშოს, აგვიწყვია ქართველებს საქმე მარცხენა ფრთაზე და ეგაა. მაგრამ ათამაშებს კი ჰოდლი ბექემს წუხანდელის მერე? ეს მართლაც გასაოცნებელი რამ იყო — მატჩის მიწურულს უკვე თავად მანჩესტერელები მიხვდნენ, რომ, ფაქტობრივად, 11 მასპინძელსა და ბექემს ეთამაშებოდნენ: ამის ბურთთან ნებისმიერი შეხება მეტოქის კონტრშეტევის დასაწყისი იყო. ალბათ ამიტომაც გაილაღა გერმანელთა მარცხენა მცველმა იორგ ჰაინრიხმა, რომელიც შეტევისთვისაც ხშირად იცლიდა.

...შმაიხელის მაგივრად „იუნაიტედის“ კარში მდგარი ჰოლანდიელი ვან დერ ჰაუვი ორჯერ შეცდა — პირველად გამოსვლაზე, მეორედ კი ბურთი ფეხიდან აეჭრა. ორჯერვე გადარჩა. აი, ტრეჩოკის დარტყმულს კი ვერაფერი მოუხერხა. კინკილა გოლი იყო და აღწერას არ დაგზარდებით: კანტონამ კონტრშეტევა დააპირა, მაგრამ სოუზამ აართვა, ამას თავის მხრივ თანაგუნდელმა ტრეჩოკმა ჩამოართვა ბურთი და იმ დროს, როცა პორტუგალიელი განაწყენებული შეტრიალდა, აღარ მიმიშვესო, გაისროლა — ბურთი ასაკოვან პალისტერსაც გაეხახუნა, მეკარის ორიოდ თითსაც და კარში სათანადო ტრაექტორიით ჩაეშვა.

...მანამდე ხუთი მომენტი იყო. ყველაზე რეალური კანტონას პასის მერე ნიკი ბათს ჰქონდა, მაგრამ ბურთმა ძელს მოხვედრა ამჯობინა. მნიშვნელოვანი კიდევ ის იყო, რომ როი კინმა სხვა სამ ფეხბურთელთან ერთად რუსი ლევნიკოვისგან გაფრთხილება მიიღო, მაგრამ იმ სამისგან განსხვავებით, ეს მისი მეორე ყვითელი გამოდა და „ოლდ ტრეფორდზე“ ველარ ითამაშებს. სამაგიეროდ, იქაური გულშემატკივრები მათიას ზამერს იხილავენ, თუმცა, არა გვგონია, ეს მათ რამეში წაადგეთ.

მოკლედ, ჩვეულებრივი კაცი ადგება... და ჩავა საათნახევარში, ჰა-ჰა, ორ საათში. „ბორუსიას“ ფეხბურთელები კი, თავიანთი მწვრთნელებიანად, დორტმუნდიდან შორეულ მანჩესტერს უნდა ჩაეიდნენ, თუ მიუნხენში, ფინალზე წასვლა სურთ. და წავლენ კი საერთოდ მიუნხენში?

### აიაქსი 1:2 იუვენტუსი

**აიაქსი:** ვან დერ სარი, ბლინდი, ფ. დე ბური, მელხიოტი, ბაბანგიდა, ვიტხე (დანი 66), ლიტმანენი, სხოლტენი (ვუტერი 77), მუსამპა (ბოგარდი 26), რ. დე ბური, ოვერმარსი

**იუვენტუსი:** პერუცი, ფერარა, პორინი, მონტერო, პესოტო, იუგოვიჩი (ლომბარდო 85), დი ლივიო (ტაკინარდი 68), დეშამპი, ზიდანი, ამორუზო, ვიერი

**გოლი:** ამორუზო (14), ვიერი (41), ლიტმანენი (66)

მიაწოდეთ ბურთი ზიდანს და ყველაფერი რიგზე იქნება! ვერ გეტყვით, უთხრა თუ არა მარჩელო ლიპიმ ტურინელ ფეხბურთელებს ეს სიტყვები, მაგრამ რომ ეთქვა, ცამდე მართალი იქნებოდა. თვლით ვერ მოგახსენებთ, მაგრამ იტალიური გუნდის ნახევარმცველმა „ამსტერდამ არენაზე“ მთელი მატჩის განმავლობაში უზუსტო პასი ალბათ სულ სამჯერ თუ გადააწოდა. მოთამაშეების დამოძღვრა ლიპის არ ესწავლება, ცხადია, ბევრი რამ ჩააგონა თავის ბიჭებს „აიაქსთან“ შეხვედრის წინ. ეჭვი არაა, ასევე მოიქცა მისი ინტელექტუალური მეტოქე ლუის ვან გაალიც და ამ ორი მხედართმთავრის შეგირდებმა მოედანზე ლაღი და მოსალოდნელთან შედარებით თავისუფალი თამაში გააჩაღეს, რომელშიც სტუმრებმა იმარჯვეს. მათი უპირატესობა უფრო თვალსაჩინო პირველ ტაიმში გახლდათ — ხუთი აშკარა საგოლე მომენტიდან ტურინელებმა ორჯერ იმარჯვეს, მეორეში კი მწვავე ეპიზოდთა რაოდენობამ იკლო, სამაგიეროდ მასპინძელთა ტერიტორიულმა უპირატესობამ იმატა. ამსტერდამის გუნდმა ერთხელ გაიტანა: მონტერომ ლიტმანენის ოფსაიდში დატოვება წამით დაიგვიანა და ფინელმა ამისთვის დასაჯა. „იუვენტუსის“ გოლები ვიერი-იუგოვიჩი-ამორუზოსა და დეშამპვიერის კომბინაციებით გავიდა.

**წუხელვე** წააგო მანჩესტერის მეორე გუნდმაც: „სიტი“ გიოს გოლით იგებდა, მაგრამ „ბოლტონმა“ ორით უპასუხა და პრემიერლიგაში დაბრუნების შანსი თითქმის საბოლოოდ გადაუწურა.

## ბათუმი 0:1 დინამო

ბათუმი. სტადიონი „დინამო"
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიქინავა, შევილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
დინამო: ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, მაჭავარიანი, კ. გოგიჩაიშვილი, კაკაძე, ცქიტიშვილი (დავითნიძე 90), კერძევაძე (ხომერიკი 67), ანჩაბაძე (ყიზილაშვილი 80), ჩხაიძე
0:1 გოგიჩაიშვილი (90)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვარაცხელია**
ბათუმიდან

„ბათუმი" ის გუნდია, ჩვენს მდორე ჩემპიონატს რომ აცოცხლებს და „კოლხეთთან" ერთად „დინამოსთვის", უკვე მერამდენე წელია, კვანტის დადებას ლამობს, თუმცა ჯერჯერობით არაფერი გამოუდის. აჭარაში უკვე მოწამლულები არიან ევროთასებით და თავიანთი საყვარელი გუნდი უამისოდ ველარც წარმოუდგენიათ.

# დინამო ჩემპიონია!

მატჩის წინა დღეებში გაავდრებამ მოედნის საფარი წყლით გაჟღინთა და ფეხბურთელებიც წამდაუწუმ სრიალებდნენ მინდორზე. სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო: 5-6 ათასი ბათუმელი ჩვეულებისამებრ ქომაგობდა თავისიანებს, ოთარ გუნთაძეც კარგად მსაჯობდა, ფეხბურთელებიც ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი და საათნახევარი არ გაჩერებულან. ქართული გუნდების ასეთი მოძრაობა, ბურთიანად თუ უბურთოდ, წელს ჩვენს ჩემპიონატში არ მინახავს. უცხოელებისა რომ გვშურს, სწორედ ისეთი ცოცხალი და დინამიური თამაში გაჩაღდა.

თბილისელთა მწვრთნელს დავით ყიფიანს ბათუმში გაფრენის წინ დედა გაუხდა მძიმედ ავად და თბილისში დარჩა, თუმცა, ნოდარ აკობია ბათუმში მოგებას ნაჩვევია და არც ამჯერად შეუხრია წარბი — მესამედ ჩაიყვანა უყიფიანო თბილისელები ბათუმში და სამი საჩემპიონო ქულაც წამოიღო.

ახლა მატჩზე ვთქვათ. „დინამოში" ფორვარდების მაგიერობას კერძევაძე და გოგიჩაიშვილი სწევდნენ, კალაძე უჯმაჯურიძეს მიეწება, ჯელაძე ტულუშს, მაჭავარიან კი მწმენდელი იყო. მცველების ამ სამეულმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, ბათუმელებს საგოლე მომენტი, პრაქტიკულად არ შეაქმნევინეს. თორლაშვილმა ორ-სამჯერ კი გაისროლა, როგორც სჩვევია, მაგრამ კარს ააცილა. ფლანგებზე მუჯირისა და ივანე მახარაძის აქტიურობა კი ჩხაიძემ და დიდავამ გაანეიტრალეს, ის კი არა, ჩხაიძე შეტევაშიც ერთვებოდა ხოლმე და ერთი-ორჯერ საფრთხეც კი შეუქმნა ბათუმელთა კარს. რომელთაგან კი ყველაზე სახიფათოდ და გულიანად გელა შევილაძე ირჯებოდა...

დინამოელები ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაშობდნენ — ცქიტიშვილი და ოდნავ წინ კაკანაძე, ანჩაბაძე კი, ჩვეულებისამებრ, თავდამსხმელთა უკან მოქმედებდა. გიორგის კეიპრისში მომზადების მერე ძალზე მოუმატებია და „დინამოს" ყველა მოგებაში ლომის წილს იდებს, თან არც შავ სამუშაოს და ბრძოლას ერიდება. 27-ე წუთზე მალხაზ მახარაძეს ვარდნით აართვა ბურთი, წინ გაიჭრა და ზუსტი პასით კერძევაძე ტოგონიძესთან პირისპირ გაიყვანა. ეს იყო მატჩის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი. ბათუმელები ტოგონიძემ იხსნა, ბაჯბაჯას წამით დაასწრო და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ მომენტამდე ხუთი წუთით ადრე კი მალხაზ მახარაძეს გულმა ავი უგრძნო, გოგიჩაიშვილის სახიფათო საჯარიმოს მარჯვენა ძელთან შეეგება და ცხრიანში მიმავალი ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ბათუმელებსაც ჰქონდათ ორი სახიფათო მომენტი. მე-8 წუთზე ტულუშის მიერ დაგორებული ბურთი სიქინავამ ყუმბარასავით გაუშვა კარში, ზოიძემ მუშტებით მოიგერია. მატჩის მიწურულს კი კინაღამ კურიოზული და „ანტიფაულერული" გოლი ვავიდა: ბათუმელებს ფეხბურთელი დაუშავდათ და მაჭავარიანმა ჯენტლმენურად გადააგდო ბურთი აუტში. იქიდან შემოტანილი ბურთი ბათუმელებმა „დინამოს" საჯარიმოში გაგზავნეს, სადაც, წესით, არავის უნდა ებრძოლა. ტულუშის მოდარაჯე ჯელაძე გაჩერდა კიდეც, მაგრამ ტულუში ალბათ ისე იყო ანთებული გოლის გატანის წყურვილით, დაავიწყდა, ვის ეკუთვნოდა ბურთი, ჩამოიღო და დასარტყმელად გაისწორა. ჯელაძემ იაზრა და ბოლოწამს თავგანწირული ნახტომით ჩაუწვა, ბურთი ახლა უჯმაჯურიძეს მიუვიდა და მანაც ძლიერად დაარტყა. ბურთს კვლავ ჯელაძე აღუდგა მკერდით და უჯმაჯურიძემ მესამედაც სცადა გოლის გატანა, მაგრამ კარს ააცილა... მოკლედ, სტუმრებს ჯენტლმენობა კინაღამ ძვირად დაუჯდათ.

ეს იყო და ეს, ლოგიკით თამაში ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ალბათ გოგიჩაიშვილს გოლშიც იყო რაღაც ლოგიკა ზემოთ აღწერილი ეპიზოდის მერე. თანაც მატჩის ბოლოს აკობიამ ორი გონივრული შეცვლა გააკეთა — დაღლილი კერძევაძე და ანჩაბაძე ხომერიკით და ყიზილაშვილით შეცვალა. ამათაც დარჩენილი დრო სირბილსა და აქტიურობაში გაატარეს. მატჩის დამთავრებამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა ცქიტიშვილმა ცენტრს ოდნავ გაცილებულ გოგიჩაიშვილს მაღალი პასი გადაუგდო. გოგიჩაიშვილიც მინდაძესთან ბურთისთვის საბრძოლველად მოემზადა და... მოულოდნელად მის ზურგს უკან მეკარე ტოგონიძე გაჩნდა, ამხტარ მინდაძეს დაეჯახა, გოგიჩაიშვილმა კი ბურთი გაიგდო, გაისწორა და ცარიელ კარში შეაგორა...

## ტორპედო 2:0 მერანი

ქუთაისი. სტადიონი „გივი კილაძე"
ტორპედო: კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, მარლიშვილი (გ. მეგრელაძე 77), კვეტენაძე, ქებაძე, მ. მეგრელაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე
მერანი: დოლიძე, ჯიშკარიანი (ლ. ამბიძე 46), ქველაძე, გოგიბერიშვილი, კაკუბავა, გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია, გოგიტაძე, ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი (დავითაშვილი 84), გაბისონია
1:0 მ. მეგრელაძე (53), 2:0 ვაჩიბერაძე (84)
გაფრთხილება: კაკუბავა, კვეტენაძე, ქველაძე
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ვახტანგ ბზიკაძე** ქუთაისიდან

მატჩის სიმწვავეს ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლა აცხოველებდა. ამას გარდა, ორივე გუნდი ხანგრძლივი წაუგებელი სერიით შეხვდა ამ მატჩს: ქუთაისელებს 20, თბილისელებს კი 25 ოქტომბრის შემდეგ აღარ წაეგოთ. „ტორპედომ" კიდევ ერთი კვირით გაიხანგრძლივა დაუმარცხებლის იმიჯი, „მერანმა" კი გადავიწყებულ მარცხს კვლავაც გაუსინჯა გემო.

„მერანის" ბოლოდროინდელი ტრადიციის თანახმად, ამ გუნდს კვლავ აკლდა ერთი წევრი. არა, ტრავმირებულ დანელიას ანაც სხვა ავადმყოფთ (ჭოლოკავა, ივანიშვილი, ხორხელი) როდი ვგულისხმობ, „მერანის" გუშინწინდელი დანაკლისი ერთობ დიდი იყო — მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე არ ახლდა ქუთაისში. ამის მიუხედავად, „მერანმა" 10-ათასიანი ქუთაისური პუბლიკის აღიარება მოიპოვა, სასურველი 3 ქულა კი ვერა.

შეხვედრის პირველ ათ წუთში ხიფათი ორივე კართან შეიქმნა. „ტორპედოს" მომენტთა წილ გოგიბერიშვილის შორეული დარტყმა და გოდერძიშვილის მიერ შესრულებული საჯარიმოა, რომელთაგან პირველს მეკარე კიკალეიშვილი გაუმკლავდა, მეორე კი ოდნავ გადასცდა ხარიხას.

მომდევნო 20 წუთში ცენტრში უპირატესობა სტუმრებისა იყო, ფლანგებზე კი მასპინძლებისა, მაგრამ ამით ვერცერთმა იხეირა. დაძაბული, მაგრამ უინტერესო 20 წუთი აშვეთიას დარტყმამ დაასრულა, რომელიც ქველაძემ მოიგერია, შალვა ხუჯაძის დამატებული კი კარს ასცდა. ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მარლიშვილმა და ქებაძემ ვერ იხეირეს: პირველს დოლიძემ აუღო, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა ქებაძემ ვერ დაარტყა. მერე მერანელმა გოგიბერიშვილმა ისევ შეამოწმა კიკალეიშვილი, რომელიც შორიდან დარტყმულს ადგილზე დახვდა.



ბ
# მერა~~ნ~~მა მოიგო

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა ისე მონდომებით შეუტიეს, აშვეთიას ჩაწოდებული ბურთი მეგრელაძისთვის გოგიტაძეს რომ არ აეცალა, ანგარიშს მალევე გახსნიდნენ. თუმცა 53-ე წუთზე კვლავ „ტორპედოს" ფორვარდთა კომბინაცია გათამაშდა, რასაც გოლი მოჰყვა. იერიშს სათავე „ტორპედოს" მარცხენა მცველმა მაღლაკელიძემ დაუდო. მისი ჩაწოდება ფლანგიდან ცენტრში აშვეთიამ თავით საჯარიმოს ხაზთან დაუგდო მერაბ მეგრელაძეს, მან კი ბურთს დაშვება აღარ აცალა, ისე ზუსტად ჩააჭედა მეკარესა და მცველებს შორის ნაპრალში.

გოლს 25-წუთიანი „უმოქმედო" პერიოდი მოჰყვა. 78-ე წუთზე კი „მერანმა" გათანაბრების შანსი გაუშვა: გაბისონიამ უკვე ჩაწოლილ მეკარეს ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა, მაგრამ ამან წარმოუდგენელი ნახტომით თანაგუნდელები გადაარჩინა. ერთხელაც კვარაცხელიას დარტყმა მოხვდა ძელს.

84-ე წუთზე „მერანს" ველარც ქორიძემ უშველა და ველარც დოლიძემ — ქებაძემ საჯარიმოში ბურთი ვაჩიბერაძეს დაუგორა და მანაც არ უმტყუნა.

## სამტრედია 0:0 კოლხეთი

სამტრედია. სტადიონი „ეროსი მანჯგალაძე"
სამტრედია: ჩაჩუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, პავლიაშვილი, ფრანგიშვილი, შ. ჩომახიძე (ცომაია 75), გ. ქელიძე, დარსაძე, ივერიანი (ფხაკაძე 89), მარკოზია (ვეკუა 88)
კოლხეთი: გოგუა, ჟ. გვასალია, კაკაჩია, ვიორგაძე, გოროზია (დ. მახარაძე 85), ამაშუკელი, ფანჩულიძე, ლალინიძე (ბულუხია 77), სოლოღაშვილ, დორასელია, ტორჩინავა
გაფრთხილება: პავლიაშვილი, დარსაძე, გოროზია, ტორჩინავა
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე**
სამტრედიიდან

ფოთელები თავდაჯერებულად შეუდგნენ საქმეს და მთელი 30 წუთის განმავლობაში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ.

პირველი საგოლე მომენტი კოლხებმა მე-5 წუთზევე შექმნეს, როდესაც დარასელია-ფანჩულიძის კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელის ძლიერად დარტყმულ ბურთს სამტრედიელთა მეკარე ჩაჩუა ადგილზე დახვდა. სტუმრების შეტევებს არც ამის შემდგომ მოჰკლებია სიმწვავე. განსაკუთრებით აქტიურობდა მათი შეტევის მარჯვენა ფრთა, სადაც ამაშუკელმა ქანცი გააცალა მისსავე ნათლულ ჩომახიძეს. რაც შეეხება ფოთელთა ლიდერ გიორგი დარასელიას, იგი მთელი ტაიმის განმავლობაში იცვლიდა სამოქმედო არეს, ხან ფლანგებზე იყო, ხან ცენტრში, მაგრამ სამტრედიელთა მცველები ამჯერად შეუცდომლად ირჯებოდნენ. სწორედ მათი გამოისობით, ფოთელთა შეტევები საჯარიმოს მისადგომებთან მუხრუჭდებოდა.

30-ე წუთიდან დაწყებული, სამტრედიელთა შუა ხაზი საგრძნობლად გააქტიურდა, ნათლიის

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

ძალღი ნათლულ ჩომახიძესაც გა-[illegible] 17 წლის თავდამსხმელის ივერიანის აქტიური თამაშის წყალობით ტაიმის მიწური მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, რომ არა ერთი ინციდენტი, რომელიც ჩომახიძის წინააღმდეგ უხეშ თამაშს მოჰყვა. აზარტში შესულმა დარსაძემ ნერვები ველარ მოთოკა და ჩომახიძის დამზარალებელ ტორჩინავას კინკლაობა აუტეხა, რაშიც, რაღა თქმა უნდა, ორივე გუნდი მთელი შემადგენლობით ჩაერთო. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მსაჯმა ორივეს ყვითელი ბარათი აუფრიალა.

მეორე ნახევარი ორმხრივი მწვავე შეტევებით დაიწყო, თუმცა საგოლე მომენტებს კლასით უკეთესი ფოთელები უფრო ჰქმნიდნენ. თამაშის 55-ე და 65-ე წუთებზე გიორგი დარასელია ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ორჯერვე ჩაჩუამ აჯობა.

ტაიმის შუაგულიდან მასპინძლებმა, ეტყობა, ტემპს ველარ გაუძლეს, მოიქანცნენ და მთელი გუნდით დაცვაში ჩადგნენ. წინ მხოლოდ ივერიანი დატოვეს, რომელიც დრო და დრო თუ ურღვევდა მყუდროებას სტუმართა მცველებს. ფოთელებს უფრო მეტად გაუჭირდათ მასპინძელთა დაცვის გადალახვა. თუმცა, მატჩის მიწურულს ჯერ გვასალიას თაური ასცდა ოდნავ კარს, მერე კი, თითქმის ბოლო წამზე დათო მახარაძემ 2-3 მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა და მატჩიც, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ფრედ დამთავრდა.

## ივერია 2:1 თსუ

ხაშური. სტადიონი „გრიგოლ ჯომართიძე"
ივერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე (ქაჭუა 36), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი (გლუნჩაძე 85), ზირაქაძე (თაბაგარი 46), წივწივაძე, თორია
თსუ: ბათიაშვილი (ნ. სიდამონიძე 46), სულთანოვი, ვერეშჩუკი, კობიაშვილი, მელაძე, კანკავა, ჩოგოშვილი (გვაზავა 83), კობესაშვილი, გიორგი ქორიძე, ჩუხუა, როსტიაშვილი
1:0 ხარაზიშვილი (22), 2:0 თორია (33), 2:1 სულთანოვი (40)
ნეკერაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (29)
გაფრთხილება: ჩადუნელი, სულთანოვი, ჩუხუა, ლომიძე
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

**მერაბ მამულაშვილი**
ხაშურიდან

მატჩის შემდეგ სტუმართაგან ერთი გულდაწყვეტილი ამბობდა: „წაგება, ძირითადად, ჩვენი უნიათო თამაშის ბრალია. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ მსაჯს ეტყობოდა, გულით „ივერიას" ემხრობოდა. პენალტი ისეთი სიხარულით დანიშნა, მეგონა, სანტ-

# მსაჯმა სალამურზე დაუკრაო

ვენის ნაცვლად სალამურზე დაუკრა." ეს სტუმართა ეჭვია და ძნელია უყოყმანოდ დაეთანხმო. ისაც ძნელი სათქმელია, ვისკენ უწევდა გული გურამ ასკარ-ოღლის, მაგრამ, მსაჯის გული ფრთხილია — მაყურებელთა გაავებას და მატჩისშემდგომ მესამე შეურაცხმყოფელ ტაიმს ყველა ერიდება.

ფაქტი ესაა — რამდენიმე ეპიზოდი სტუმრებს ასკარ-ოღლისთვის პრეტენზიის წაყენების საფუძველს აძლევდა. პირველი პრეტენზია თსუელების კარში დანიშნულ პენალტზე გამოითქვა. 29-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს წივწივაძე შეჰყვა და კობიაშვილთან ბრძოლაში მიწაზე განრთხმული აღმოჩნდა. იყო თუ არა დარღვევა? ამან კამათი გამოიწვია. თბილისელთა მტკიცებით, წივწივაძე „ოსტატურად" წაიქცა. „ივერიას" მთავარ მწვრთნელს მალხაზ ლაცაბიძეს კი უკვირდა, რა იყო ამ ეპიზოდში საკამათოო. მატჩის კომისარი გურამ გვანცელაძეც ამ აზრს იზიარებდა. მეტოქეებს ვერც მატჩის შემდეგ ვიდეოჩანაწერის ნახვამ შეაცვლევინა აზრი. თუმცა, პენალტამდე თსუელ ჩიგოშვილს მასპინძლებმა წესის დარღვევით აართვეს ბურთი, კომბინაცია გაითამაშეს და წივწივაძე საჯარიმოში ასე „შეაზავეს". ასკარ-ოღლიმ სწორედ ამ დროს ჩაუტკინა. თუმცა, ნეკერაშვილის დარტყმა ბათიაშვილმა მოიგერია. სტუმართა აზრით, ასკარ-ოღლიმ 84-ე წუთზე „ივერიას" კარში პენალტი არ დანიშნა, როდესაც კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მელქაძემ კარისკენ გაგზავნა, ბურთს კი ხაშურელთა მცველი ხელით გადაელობა. თამაშის შემდეგ ერთმა უცნობმა „ბრძნულად" დაასკვნა — რაიონში მასპინძელთა კარში ასეთი პენალტის დანიშვნა მსაჯისთვის ძალიან სახიფათოაო.

სტუდენტთა ხელმძღვანელობის აზრით, ასკარ-ოღლი ცალმხრივად პრინციპული იყო. სულთანოვს (35 მეტრიდან გატანილი ჯარიმის შემდეგ ხელების უცენზურო მოძრაობისთვის) და ჩუხუას (ბურთის გადაგდებისთვის) სამართლიანად აუფრიალა ყვითლები (ეს ყვითლები ორივე მოთამაშეს შემდეგ ტურში თამაშის უფლებას ართმევს და მსაჯმა იცოდა, ვისთავის ამოეღო), ერთყვითლიან ხაშურელ ჩადუნელს კი ქორიძისა და კობიაშვილის წინააღმდეგ აშკარა უხეშობა აპატია და არ გააძევაო. თან ისიც უკვირდათ, ბოლო წუთებზე რატომ არ გააფრთხილა ხაშურელთა ერთ-ერთი მოთამაშე დროის გაყვანის მიზნით ბურთი ტრიბუნისკენ რომ მოიგერია.

თუმცა კი, თბილისელები თავად აღიარებდნენ, რომ წაგება ისევ მათი უხეირო თამაშის ბრალი იყო. ხაშურელთა ორივე გოლიც წესების დაურღვევლად გავიდა, ამ „საქმეში" სტუმართა მცველებმა თავად დაიდეს წილი. თანაც, არც ისეთი მსაჯობა იყო, როგორიც ბევრჯერ გვინახავს, მაგრამ, არც იმ ფაქტებზე დაუფიქრებლობა იქნება, რომლებმაც სტუმართა გულისწყრომა გამოიწვია. მოკლედ, აუტსაიდერთა პრინციპული შეხვედრა მეტად უსიამოვნო ვითარებაში დასრულდა...

## დილა 3:0 კახეთი

გორი. ცენტრალური სტადიონი
დილა: ვოლკოვი, ფეზუაშვილი, რ. საქაპურიძე (ხორგუაშვილი 78), ჯ. განიძე, თარხნიშვილი, ა. გაგნიძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი (ჯალაბაძე 85), კაიდარაშვილი (ფხალაძე 66), გვაზავა
კახეთი: ასლანაძე, ჯიკაევი, კ. ნიკლაური, ტარულაშვილი, ბოჭორიშვილი (მესხიძე 73), ნაკუდაიძე (მაზანაშვილი 73), ჯაშიაშვილი, ტოკლიკიშვილი, ფოფხაძე, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი
1:0 რევაზიშვილი (36), 2:0, 3:0 გვაზავა (50, 74)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მამუკა კვანტალიანი**
გორიდან

# გასავარდნად ცოდო კია...

გორში ადრიანად ჩასული უცნაური სანახაობის მომსწრე გავხდი. ჯერ ალლუმი რამ მეგონა, მაგრამ... ჰუსართა წითელ ფორმაში გამოწყობილ გოგონებს საფეხბურთო ფორმაში გამოწკეპილი ბიჭუნები მისდევდნენ და ეს თვალსასეირო რაზმი პირდაპირ სტადიონისკენ მიეშურებოდა. მართლაც კარგი სანახაობა გახლდათ და მეც მათ ავედევნე. სტადიონზე მისულს კი უცნაური ხალხმრავლობა შენიშნა. არა, „დილას" გულშემატკივრები არც მანამდე აკლდა, მაგრამ გორელ ქომაგთა გუშინწინდელი ოდენობა ადრინდელს ბევრად აღემატებოდა. საქმე ის ყოფილა, რომ ქალაქისა და კლუბის თავკაცებს სპორტული ლატარია დაუგეგმავთ, მოაწყვეს კიდეც და ამან მაყურებელთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. ამით კლუბმაც იხეირა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა.

სიტყვა გამიგძელდა, თამაშზე კი ჯერ არაფერი მითქვამს. თავიდანვე გეტყვით: მართალია, „დილამ" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, მაგრამ ეს არ იყო მასპინძელთა საუკეთესო მატჩი. სტუმრებმა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, გორელებს არაფერი დაუთმეს. პირიქით, სჯობდნენ კიდეც, მაგრამ... ყველამ იცის, რომ გორში „დილას" დამარცხება ძალიან ძნელი საქმეა და იქ გამარჯვება ლიდერებსაც უჭირთ. სტუმრებს მთელ თამაშში ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდათ, აქედან ორი ასპროცენტიანი, როცა მათი თავდამსხმელები ვოლკოვის წინ ეულად დარჩნენ, მაგრამ ფოფხაძემ და ტოკლიკიშვილმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ააცილეს. ცხადია, „დილა" ამას არ აპატიებდა და არ აპატია კიდეც. ამ მარცხის შემდეგ „კახეთი", ფაქტობრივად, გავარდნილად შეგვიძლია ჩავთვალოთ. არადა, ჯანელიძემ გუნდს სახე მისცა და გასავარდნად ცოდოც კია, მაგრამ ფაქტი ჯიუტობს: მოგება თუ გსურს, უნდა გაიტანო.

გორელთა გამარჯვებას კი რევაზიშვილმა დაუდო სათავე, როცა მარეხაშვილის ჩაწოდებული მასსავით ახალგაზრდული ნაკრების წევრს და მეგობარს ასლანაძეს ცხრიანში გაუტანა. მერე თავად რევაზიშვილმა ჩინებული პასით კაიდარაშვილი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, მან კი გვაზავას გაატანინა. ამის მერე სტუმრები გატყდნენ და მორიგ მარცხსაც შეურიგდნენ და ბედსაც. ჯონი ჯანელიძეს სახეზე სიმწრის ღიმილი ემჩნეოდა. მისი კოლეგა სოსო ვაშაკიძე კი პირიქით, თავისიანებით უკმაყოფილო ვერ იქნებოდა. სტუმარ კოლეგასაც თანაუგრძნობდა, მაგრამ ვერაფრით ეხმარებოდა. მესამე გოლი კახელი მცველების შეცდომის შედეგი გახლდათ: ლიბეროობიდან საყრდენ ნახევარმცველად „დაწინაურებულმა" თარხნიშვილმა ასლანაძესთან პირისპირ რევაზიშვილი გაიყვანა. გიორგის თავად შეეძლო გაეტანა და თანაც მეორე, მაგრამ ძმაკაცი დაინდო და ბურთი გვაზავას გადაულოცა, ამან კი ცარიელ კარში შეაგორა. „დილამ" „კახეთს", ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანა.

ბიბლიოთეკა

## გორდა 2:1 მარგვეთი

რუსთავი. სტადიონი „ფოლადი"
გორდა: მ. ქორიძე, ფაცურია, ბექაური, პატარიძე, სახვაძე (კარანაძე 90), გაბელაია, მელაძე, არსოშვილი, ბერიძე (წელებაძე 89), თ. მეტრეველი, თ. მუშკუდიანი (კედელაშვილი 54)
მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, დ. ქელიძე, ლონლაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გეწაძე, მუმლაძე (მაჭავარიძე 80), უკლება, მოსიკაშვილი (მალალურაძე 59)
1:0 მელაძე (13), 1:1 უკლება (60), 2:1 კედელაშვილი (67)
გაფრთხილება: ლონლაძე, კაციაშვილი, არსოშვილი
მსაჯი: ხ. შალამბერიძე (თბილისი)

კობა ინასარიძე რუსთავიდან

როგორც იქნა, „გორდამაც" გაიმარჯვა და შედარებით გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ისე, მართლაც საცოდაობა იქნებოდა, მასპინძლებს რომ ვერ მოეგოთ — მათი უპირატესობა საგრძნობი იყო.

რუსთაველებს აკლდათ მიშველიძე, რომელიც „მერანთან" მატჩში მძიმედ დაშავდა, მარგველებმა კი მეორე წრის დასაწყისში დამატებული თევზაძე და ბუცურეიშვილი მოისაკლისეს —

# გორდამ თუ ასე გააგრძელა

ორივეს ფინანსური დაუკმაყოფილებლობის გამო დაუტოვებია გუნდი. მიუხედავად ამისა, მატჩი, განსაკუთრებით მეორე ტაიმი, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. რუსთაველები ისეთი მონდომებით და ისე თავდაუზოგავად ეკვეთნენ სტუმრებს, აშკარა იყო, ამდენი მარცხის შემდეგ გასამარჯვებლად თამაშობდნენ. განსაკუთრებით მელაძე აქტიურობდა, რომლის ჭკვიანურმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც „გორდას" გამარჯვება მე-13 წუთზე მასპინძლებმა მარჯვნიდან შეუტიეს, ბურთი სახვაძემ მიიღო და საჯარიმოში ჩააწოდა, აქ კი გვენცაძე პატარიძესთან ორთაბრძოლისას უხეშად შეცდა და მელაძემ ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. მასპინძლებს მანამდეც ჰქონდათ საგოლე მომენტები, მაგრამ ხან გვენცაძე ვაჟკაცობდა, ხანაც ერთადერთი თავდამსხმელი ბერიძე სცოდავდა. გაშვებული ბურთის შემდეგ „მარგვეთი" შედარებით გააქტიურდა: ჯერ უკლებამ ვერ დაუმიზნა ქორიძის კარს ზეირიანად, მერე ლანჩავას მიერ მეტად ორიგინალურად, ბრუნში დარტყმული გააუვნებელყა მეკარემ. მოკლედ, გოლის მერე იერიშები ორმხრივი გახდა, თუმცა თავდამსხმელებზე უკეთ მცველები ირჯებოდნენ და რეალური საგოლე მომენტი არ შექმნილა.

მეორე ტაიმიც პირველის ბოლო წუთების მსგავსი იყო. ფეხბურთელები არც თავს ზოგავდნენ და არც მეტოქეს. არბიტრსაც რამდენჯერმე მოუხდა ყვითელი ბარათის ამოღება. მე-60 წუთზე სწორედ მასპინძელთა უხეშობას მოჰყვა გოლი: მარცხენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა სტუმართაგან ყველაზე აქტიურმა უკლებამ შეასრულა, მაგრამ ჩააწოდა თუ კარში დაარტყა, მხოლოდ თავად უწყის, ფაქტი კი ისაა, რომ ბურთი ყველამ გაატარა, მათ შორის ქორიძემაც და ანგარიშიც გათანაბრდა. სტუმრებს, ეტყობა, ხელს აძლევდათ რუსთავში ფრე და მშვიდად განაგრძეს კარის დაცვა, მოსაგებად გამოსული მასპინძლები კი ვერ ურიგდებოდნენ საყაიმო ანგარიშს და ისე გააფთრებით ეკვეთნენ სტუმრებს, ეჭვი არ იყო, იხეირებდნენ. რუსთაველებმა ნამდვილი შტურმი დაატეხეს მარგველთა კარს. ჯერ მეტრეველის ჩაწოდებული პატარიძემ თავით დაამთავრა, მაგრამ გვენცაძემ აუღებელი ბურთი აიღო. შემდეგ მეკარემ მეტრეველის ჯარიმა კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებულთან კი ვერას გახდა: გამოსვლაზე თამაშისას ვერ მოზომა, მუშტი კი შეახვედრა ბურთს, მაგრამ ახლოს დააგდო და შეცვლაზე შესულმა კედელაშვილმა მეორე წრეში პირველად გაამარჯვებინა „გორდას", რომელმაც ასე თუ გააგრძელა თამაში, არა მგონია, ჯგუფში დარჩენა გაუჭირდეს. ბოლო წუთზე მასპინძელთა გამარჯვება უფრო თვალსაჩინოც შეიძლება გამხდარიყო: მეტრეველმა ზუსტად ისევე დაარტყა, როგორც წინა ტურში „დინამოსთან" მატჩში, მაგრამ მისი ულამაზესად შესრულებული დარტყმული გვენცაძემაც გაჭირვებით მოიგერია...



ზაზა გურიელიძე ვეფხია გვენცაძეს ვერ შეეშველა

## ოდიში 2:1 სამგურალი

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
ოდიში: აბუსერიძე, კუტალია, გუჯუა, ქედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, გაბედავა, ნიტაიშვილი, ფანცულაია, კალანდაძე
სამგურალი: ქვაჩახია, ლ. ქობულაძე, ბ. ჯანელიძე, კოლუაშვილი, გოგელიძე (გელაშვილი 81), გოჩა კვარაცხელია (უშვერიძე 76), ვაშაკიძე, მანაგაძე, დ. ჯანელიძე, ფესტვენიძე, ჯანაშია (ძაგნიძე 54)
1:0 ბარქაია (65), 1:1 დ. ჯანელიძე (67), 2:1 ფანცულაია (76)
გაფრთხილება: კოლუაშვილი
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

## სიონი 2:1 გურია

ბოლნისი. სტადიონი „თემურ სტეფანია"
სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, მეფარიშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, ტარტარაშვილი, ხოსროშვილი, გოგოლაძე, მ. სამხარაძე (ვ. სამხარაძე 88), ჯაგიდისი, მოსეშვილი
გურია: ბაბაშვილი, თ. ლურწკაია, თოლორდავა, ქიქავა, ყანჩაშვილი, ლ. ყოლბაია, ცერცვაძე, განევი (თ. გოგიჩაიშვილი 79), გვიანიძე, კუკულაძე, კ. სიდამონიძე
1:0 შაკიაშვილი (48), 1:1 ლურწკაია (51), 2:1 მოსეშვილი (77)
გაფრთხილება: ლურწკაია
გაძევება: ყოლბაია
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

# ვლადიმერ გუცაევი: ტოტალური ფეხბურთის მომხრე ვარ



როგორც იქნა, ეროვნულმა გუნდმა ნავსი გატეხა, თანაც როგორ — შვიდი უპასუხო ბურთი სომხების კარში ერთობ შთამბეჭდავი შედეგია, რამაც ინგლისელებთან შეხვედრის წინ კარგი განწყობაც შექმნა. მართალია, სომხები უძლიერესთა რიგებს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მათთან თამაშამდე და გამარჯვებამდე ჩვენმა ნაკრებმა შარშანდელი 27 მარტის მერე მოგება არ იცოდა. მოკლედ, ეროვნულ გუნდს საშველი დაადგა, ახალგაზრდებისაზე კი რა მოგახსენოთ. ჯერ იყო და, ჭეიშვილის ხელმძღვანელობით მხოლოდ მოლდოვასთან გაიმარჯვეს და შესარჩევ ჯგუფში სამარცხვინო ბოლო ადგილი დაიკავეს. ახლაა და, იტალიური ფიასკოს შემდეგ ინგლისელებთან მოსაგები მატჩი წააგეს, ვერც ლიბანში ივარგეს და ახლახან მორიგი მარცხი იწვნიეს მოსკოველი არმიელებისგან. აღარას ვამბობთ უკრაინასთან წაგებულ ორ ამხანაგურ შეხვედრაზე. დროა, საფუძვლიანად დავფიქრდეთ — ბოლოს და ბოლოს, მოლდოვასთან კინკილა გამარჯვების ამარა ხომ არ დავრჩებით?

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი უკვე დაფიქრდა. გუნდი საგრძნობლად გადაახალისა და ახლახან ცესკასთან, ცოტა არ იყოს, სხვანაირად, ახლებურად ათამაშა. ბათუმური მატჩის შემდეგ აკი განაცხადა პაველ სადირინმა, ეტყობა, გუცაევმა უარი თქვა ტრადიციულ ქართულ სათამაშო სტილზე და უფრო ევროპულს მიელტვის, ამ თამაშის შემხედვარე უცხო კაცი თქვენიანებს ვერ იცნობდაო. მართლაც ასე იყო: ჩვენმა ახალგაზრდებმა სწორედ ისე ითამაშეს, საინგლისოდ რომ გამოადგებათ. ბუნებრივია, გუცაევის „რეფორმამ" ჩვენც დაგვაინტერესა და მასთან საუბარი არმიელებთან გამართული ამხანაგური მატჩით დავიწყეთ.

— სანამ უშუალოდ მატჩზე გეტყოდეთ, იმით დავიწყებ, რომ არმიელებთან შეხვედრისთვის ოპტიმალურ შემადგენლობას ვერ მოვუყარე თავი. სხვადასხვა მიზეზთა გამო გვაკლდნენ იაშვილი, იაგორაშვილი და საჯაია, რომლებმაც დროულად ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. ჩალაძე და სილაგაძე ლატვიური „სკონტოს" ხელმძღვანელებმა, ვფიქრობ, დაგვიმალეს და ამის შესახებ უეფაში სარჩელის შეტანას ვაპირებთ. ცქიტიშვილი თამაშის დღეს შეუძლოდ გახდა, დემატრაძე და კალაძე კი დისკვალიფიცირებულნი არიან და მათ შეგნებულად არ დავუძახე. გახოკიძე პირველ ნაკრებში იყო გამოძახებული. ერთი სიტყვით, არმიელებთან თამაშის წინ გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, რის გამოც შემადგენლობის შეცვლა მოგვიხდა. მოვიწვიეთ რამდენიმე დებიუტანტი, რომლებმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მოკლედ, მოსკოველებთან არ უთამაშიათ იმ ფეხბურთელებს, რომელთა ინგლისში დაყენებაც მაქვს ჩაფიქრებული. თუმცა, ამ ყოველივეს მიუხედავად, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ დამწყდა გული, რომ დავმარცხდით, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ამხანაგური მატჩები იმისთვისაა, ექსპერიმენტებისთვის გამოიყენო. დამეთანხმებით, ფეხბურთელებმა მოინდომეს, ჩემი დავალება თითქმის მთლიანად შეასრულეს. ჩემი აზრით, კარგი თამაში გამოვიდა, მაგრამ კარგი იქნებოდა, მოედნის საფარი უკეთესი ყოფილიყო — ფეხბურთელებს გადაადგილება უჭირდათ, რამაც თავისებური დაღი დაასვა მატჩის სანახაობრივ მხარეს.

**— ზემოთ ექსპერიმენტი ახსენეთ. კონკრეტულად რას გულისხმობდით?**

— დიდი სურვილი მქონდა, ცესკასთან მატჩი ინგლისისწინა რეპეტიციად გამომეყენებინა, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო ეს არ მომიხერხდა. დებიუტანტების საქმეში ხილვას უფრო დავარქმევდი ამ შეხვედრას, ვიდრე გენერალურ რეპეტიციას. რაც შეეხება ექსპერიმენტს, გეტყვით, რომ ფეხბურთელებს ხისტი, ძალისმიერი თამაში დავავალე, რადგან დღეს მსოფლიოში, მეტწილად კი ევროპაში, ისეთი ტენდენციაა, რომ ძალისმიერი ფეხბურთის გარეშე შორს ვერ წახვალ. ყველაფერთან ერთად ბურთის ჯგუფური ართმევის ხერხსაც ვგულისხმობ. თავად თუ არ იზრუნებ დაკარგული ბურთის დასაბრუნებლად, მეტოქე რას მოგცემს. სხვათა შორის, შარშან 8 ნოემბერსაც, როცა ინგლისელებს ვმასპინძლობდით, ძალისმიერ ფეხბურთზე გავაკეთე აქცენტი. ინგლისელები არ არიან ბრაზილიელებივით ან თუნდაც იტალიელებივით ტექნიკურნი და ბიჭებსაც ეს დავავალე — მაქსიმალურად მჭიდროდ ეთამაშეთ, თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მისცეთ-მეთქი. დღეს თუ რაიმეს მიღწევა გინდა, უპირველესად, ტექნიკური და ძალისმიერი თამაშის სინთეზის მეშვეობით. ორივე სტილის ცალ-ცალკე გამოყენებით სახეიროს ვერაფერს გააკეთებ. მოკლედ, ტოტალური ფეხბურთის მომხრე ვარ. მომავალშიც ასე გავაგრძელებ. ქართველებისთვის ტექნიკა თანდაყოლილი ნიჭია, აი, ფიზიკურად კი ძალიან გვიჭირს. სამწუხაროდ, ფეხბურთელებთან რეგულარული მუშაობის შესაძლებლობას მოკლებული ვარ და ერთი კვირაში ძნელია ფიზიკურად ისე მოამზადო გუნდი, ღირსეულად გამოიყურებოდეს. ეს საქმე კლუბებში უნდა გვარდებოდეს. კლუბის მწვრთნელმა უნდა მოამზადოს ფეხბურთელი ფიზიკურად და არა ნაკრებისამ. თორემ, ფოცხვერიას და აშვეთიას იმას ვერ ვასწავლი, როგორ მოატყუონ საჯარიმოში ხუთი კაცი და გოლი შეაგდონ. ეს უკვე მათი იმპროვიზაციის ამბავია, ტექნიკასთან ერთად, რომელიც ქართველებს არ აკლიათ.

**— როგორ ფიქრობთ, მომზადების დღევანდელი დონით თუ შეიძლება ჯგუფიდან გასვლა? მითუმეტეს, ორჯერ უკვე დავმარცხდით...**

— შეუძლებელი არაფერია. თუ 29 აპრილს ინგლისში ის ფეხბურთელებიც მეყოლება, რომლებსაც მოვიწვევ, მაშინ ჩათვალეთ, რომ ძალებს არ დავზოგავთ და მოსაგებად ვითამაშებთ. ჩემი აზრით, დღევანდელი ახალგაზრდული ნაკრები ძლიერია, მას საკმაო პოტენცია აქვს, შეუძლია გაუმკლავდეს იტალიის და ინგლისის ნაკრებებს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას. შანსები ერთი-ორად გაგვეზრდება, თუ ინგლისში გავიმარჯვებთ. სამ მატჩში სამი ქულა გვექნება. ჩვენს ჯგუფში კი ისეთი გუნდებია, ერთმანეთში თამაშისას აუცილებლად დაკარგავენ ქულებს. ინგლისი იტალიას უნდა ეთამაშოს, იტალია — პოლონეთს. აღარაფერს ვამბობ ჩვენს საშინაო თამაშებზე.

**— კი მაგრამ, იტალიაში ხომ 0:6 დავმარცხდით.**

— მართლია, დიდი ანგარიშით წავაგეთ, მაგრამ კატასტროფა არ მომხდარა. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, არეცოში დამარცხება კარგი გაკვეთილი იყო, ისევე, როგორც ფეხბურთელებისთვის. ამ მატჩის გაანალიზებისას დავრწმუნდი, რომ სელექციაში შევცდი, ცოტა ტაქტიკური შეცდომებიც დავუშვი. თანაც, მატჩი იტალიელთათვის იღბლიანად დაიწყო, მცველების უხეში შეცდომების გამო დავისაჯეთ და მერე ძნელი გამოსასწორებელი იყო დასაწყისშივე დაშვებული უზუსტობანი. ამასთან, სამი გოლი პენალტით გაგვიტანეს, ორჯერ მოედნის ცენტრში შემთხვევით დაკარგულმა ბურთმა დაგვსაჯა. იმ პერიოდში გუნდი ჩამოყალიბების გზაზე იდგა და მეც, უკვე გითხარით, სელექციაში შევცდი. ინგლისელებთან მატჩისას კი ყველაფერი დალაგდა. მოვიწვიეთ საჯაია და იაგორაშვილი, ცქიტიშვილი ლიბეროს პოზიციაზე დავაყენეთ, ტაქტიკური სქემაც შევცვალეთ და ვინც ეს თამაში იხილა, დამერწმუნება, რომ უკვე გუნდი იყო. ბათუმში მოსაგები თამაში გვქონდა, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

**— საინტერესო იქნებოდა მთავარი მწვრთნელის აზრი ცალკეულ რგოლებზე. დავიწყოთ მეკარეებით...**

— მეკარეებში დიდი არჩევანი არ გვაქვს. ძირითადად — გვარამაძე და ასლანაძე. ცესკასთან კი ლომაიაც მივიწვიეთ. იგი ძალიან პერსპექტიული მეკარეა და სამომავლოდ მისი იმედი მაქვს. საკმაოდ ნიჭიერია გვარამაძე, მაგრამ ძალიან შეცდა, როცა „ბათუმში" გადავიდა და ახლა ტოგონიძის ჩრდილში მოექცა. არადა, ბევრი გუნდია, მეკარე რომ სჭირდება. „კოშკასთან" ადრეც მისაუბრია ამ თემაზე და დღესაც ამას ვეუბნები. აბა, დავთვალოთ, მას შემდეგ, რაც გვარამაძე „ბათუმში" გადავიდა, სულ ორჯერ თუ ითამაშა. ეს ახალგაზრდა მეკარისთვის დამღუპველია. რაც შეეხება ასლანაძეს, ისიც კარგი მეკარეა, მაგრამ როგორც თავად მითხრა, „კახეთში" ნორმალურად მზადების საშუალება არა აქვს, სავარჯიშო მინდორიც კი საძებნელი აქვთ. ჩემი თხოვნა იქნება კლუბების ხელმძღვანელებისადმი: დღეს ისედაც გვიჭირს მეკარეების მხრივ და ისე ნუ გააკეთებენ, მთლად უმეკარეოდ დავრჩეთ. ნუთუ არ შეიძლება, მეკარეებს ისეთი პირობები შევუქმნათ, ნომალურად რომ მოემზადონ? თორემ, ნახეთ, რა გამოდის, თუნდაც გვარამაძის მაგალითი ავიღოთ. დარწმუნებული ვარ, ისეთ შეცდომას, როგორიც ცესკასთან მოუვიდა და რაც მეორე გაშვებულ გოლად დაგვიჯდა, ხუთ წელიწადში ერთხელ თუ დაუშვებს. ყველაფერი კი სათამაშო პრაქტიკის უქონლობის ბრალია. გამოსვლაზე თამაშისას მეტად ფრთხილად უნდა იყო, ყველა მოქმედება უნდა გათვალო, ზუსტად შეასრულო, უთამაშებელი კი, ბუნებრივია, შეცდება, აბა, რა იქნება...

**— მცველებზეც იგივეს იტყვით? არმიელებთან შეხვედრისას ხომ ისინიც ბევრჯერ შეცდნენ.**

— თუ ჩვენი საუბრის ორიენტირად არმიელებთან შეხვედრას გამოვიყენებთ, ასეც იყო. მცველები მართლაც ბევრჯერ შეცდნენ. ყველაფერი კი ცქიტიშვილის არყოფნამ განაპირობა. ჩაფიქრებული ასე მქონდა: ცქიტიშვილს ლიბეროდ ვაყენებდი, ფლანგებზე ხუჯაძე და დიდავა იქნებოდნენ, სტოპერად წერეთელი. ფაქტობრივად, ასეც მოხდა, მაგრამ უკანა მცველობა დებიუტანტ გოგიბერიშვილს მოუწია, რომელსაც წინასწარი სათამაშო სქემის მიხედვით ნახევარდაცვაში უნდა ეთამაშა. მატჩის წინ, როცა ექსტრემალური ვითარება შეიქმნა, ალეკოს ვკითხე, დაცვაში თუ შეგიძლია თამაში-მეთქი. დამთანხმდა. სწორედ ამიტომ იყო, ელემენტარული შეცდომები რომ მოსდიოდათ უკანახაზელებს. ყველაფერი შეუთამაშებლობის ბრალია, თორემ ხანდახან ჩვენი მცველები ზონას ისე აკონტროლებდნენ, გეგონებოდათ, ათი წელია, ერთად თამაშობენ. მწვრთნელებს ნორმალური დაცვის ჩამოსაყალიბებლად წლობით მუშაობა უხდებათ. მე კი, როცა არმიელებთან სათამაშოდ დავუძახე ბიჭებს, ერთი ხეირიანი ვარჯიშიც ვერ ჩავატარე. ეგ იყო, მატჩის წინა დღეს 45 წუთი წავივარჯიშეთ. ასეთ ცაიტნოტში კი რას მოასწრებ? დანარჩენი ბიჭებს თეორიულად ავუხსენი.

**— ნახევარდაცვაში ორი დებიუტანტი გამოსცადეთ.**

— მართალია, მონასელიძე რამდენჯერმე უხეშად შეცდა, მაგრამ არა უშავს. წარმოიდგინეთ, ეს ბიჭი მეორე ჯგუფში თამაშობს და უცებ ისეთ გუნდთან მოუწია თამაშმა, როგორიც ცესკაა. ბუნებრივია, გაუჭირდებოდა. თუმცა, ეს ფიზიკურ მომზადებაზე ითქმის, თორემ ტექნიკურად მშვენივრად გამოიყურებოდა. მეორე დებიუტანტი ასათიანი იყო, რომელიც საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია. კარგი სისწრაფე აქვს, ტაქტიკურადაც აზროვნებს და სამომავლოდ მისი იმედიც მექნება, ისევე, როგორც გორელი რევაზიშვილისა. მართალია, რევაზიშვილმა რამდენიმე წუთი ითამაშა და ხეირიანად ვერც დავაკვირდი, მაგრამ ხომ იცით, ყველას კოჭებში ეტყობა, რისი მაქნისია.

**— კიკნაძეზე და სხვა გამოცდილებზე რა აზრის ბრძანდებით?**

— საინგლისოდ სწორედ მათზე ვაპირებ დაყრდნობას. თუ გავიმარჯვებთ, უპირველესად ნახევარმცველთა კარგი თამაშით. ნახევარდაცვის რგოლი თითქმის უკვე დაკომპლექტებულია. კიკნაძეს და საჯაიას იაგორაშვილიც დაემატა, ეს ფეხბურთელები კარგად მოერგნენ გუნდს და წინა თამაშში, ინგლისელებთან, ძალიან მომაწონეს თავი. რაც შეეხება გახოკიძეს, იგი პირველი ნაკრების კანდიდატად ითვლება, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვენთანაც ითამაშოს. თუ არა, მისი შემცვლელი უკვე შერჩეული მყავს — მისი ადგილი შეიძლება გოგიბერიშვილმა დაიკავოს.

**— თავდასხმაში შედარებით ნაკლები პრობლემა გექნებათ.**

— ქართველებს არასდროს ჰკლებიათ თავდამსხმელები. ახლაც კარგი ბიჭები გვყავს ფოცხვერიას შესაძლებლობებში უკვე მერამდენედ დავრწმუნდი. ცოდვაა, ამ ბიჭის „შახტიორში" თამაში, გაცილებით უკეთეს კლუბში უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, იგიც ყიფიანმა „წაგვართვას". იაშვილი და აშვეთიაც კარგად გამოიყურებიან. მართალია, იაშვილი ამჟამად გერმანიაშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ მის შესაძლებლობებში. არმიელებთან ქებაძეც კარგად ირჯებოდა. ერთი სიტყვით, თავდასხმაში მართლაც ყველაზე ნაკლები პრობლემაა.

**— სხვა ფეხბურთელების დამატებასაც ხომ არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით, ინგლისთან უმძიმეს მატჩამდე ახლების გამოსაცდელად დრო არ გვაქვს. ისე კი, რამდენიმე ფეხბურთელს დავადგი თვალი და როგორც კი საშუალება იქნება, მათაც დავაკვირდები.

კობა ინასარიძე

# ნახევარფინალის ნახევარგზაზე

## უეფას თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩები. სამშაბათი, 8 აპრილი

UEFA CUP

ინტერი (მილანი, იტალია) — მონაკო (საფრანგეთი) 3:1

ტენერიფე (ესპანეთი) — შალკე (გელზენკირხენი, გერმანია) 1:0

### ინტერი 3:1 მონაკო

**ინტერი:** პალიუკა, პისტონე, პაგანინი, ბერგომი, ფრეზი, ძანეტი, სფორცა (ვინტერი 78), ინსი, ჯორკაეფი, განცი, სამორანო

**მონაკო:** ბარტეზი, ბლონდო, ირლი, გრიმანდი, პეტი, ლეგვინსკი, დიეტუ, ბენარბია (იკპება 69), კოლინზი (შიფო 52), ანდერსონი, ანრი

**გოლი:** განცი (16, 29), სამორანო (39), იკპება (71)

**გაფრთხილება:** სამორანო, ბენარბია, პისტონე

**გაძევება:** გრიმანდი (46)

შეიდ წელიწადში „ინტერს" უეფას თასის ფინალში მესამედ გასვლის ჩინებული შანსი აქვს — „სან სიროზე" 3:1 გამარჯვება „ლუი მეორეზე" გასამართ საპასუხო თამაშს მახვილს სულ სხვაგან უსვამს. დიახ, ამთავითვეა ცნობილი, რომ პირველ შეხვედრაში მიღებული გაფრთხილება მილანის გუნდში მოთამაშე ჩილელ ფორვარდს ივან სამორანოს ორი კვირის შემდეგ მოედანზე არ გაუშვებს. ეს მისი მეორე გაფრთხილება იყო მიმდინარე გათამაშებაში, მაგრამ დანაკლისი „მონაკოსაც" ექნება. ვერ ითამაშებენ მილანურ მატჩში გაძევებული ჟილ გრიმანდი და ყვითელ მიღებული ალი ბენარბია, რომელიც მონტე-კარლოელთათვის დიდი ძალაა. ბენარბია შუა ნახევარმცველი გახლავთ, რომელიც, სანამ მოედანზე იყო, საკუთარიდან მეტოქის საჯარიმომდე სულმოუთქმელად დარბოდა, უკან ბურთის წასართმევად იბრძოდა, წინ საგოლე პასის შესრულებას ლამობდა და არც კარში დარტყმებსა თუ საჯარიმოთა გათამაშება-შესრულებაზე გახლდათ მწყრალად. სამაგიეროდ მის თავდამსხმელ თანაგუნდელებს ბრაზილიელ სონი ანდერსონსა და ტირე ანრის არ გამოუვიდათ თამაში — იტალიური გუნდის მცველებმა ორივე საგულდაგულოდ ჩაკეტეს.

ზოგადად მატჩმა ფრიად საინტერესო და ერთგვარად უცნაური შთაბეჭდილება დასტოვა. ეს იმან განაპირობა, რომ იგი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველში მასპინძლები ბატონობდნენ, უპირატესობასაც ფლობდნენ და არცთუ იშვიათად ჩინებულ, დასრულებულ კომბინაციებს ატარებდნენ. მათ „მონაკოს" თავდასხმა ნახევარდაცვას უხილავი მაკრატლით მოწყვიტეს, დაცვაში კი ხვრელები მოუძებნეს. თავიდან მონაკოელებს თითქოს ზომაზე მეტი ღელვაც ეტყობოდა. აბა სხვა რით უნდა აიხსნას ის შეცდომები, ცხენისკუდა ვარცხნილობით თავმომწონე პეტი რომ უშვებდა: მე-9 წუთზე საკუთარ გოლკიპერ ფაბიენ ბარტეზს ბურთის დაჭერაში ხელი შეუშალა, თავი ჩაუკრა და მაურიციო განცს კინაღამ დაუცველ კარში გაატანინა. შემდეგ, ერთი-ორჯერ, თანაგუნდელთა მწყობრად შესრულებულ ხელოვნურ თამაშგარესაც ცოტა დააკლდა, ცივი წყალი გადაასხა.

სახიფათო მომენტთა ყულაბაში პირველი მონეტა სტუმრებმა ჩააგდეს. მე-4 წუთზე ანრიმ საჯარიმოში, კუთხურის ხაზთან, მცველთან ბრძოლაში, ხარიხის პარალელურად ჩაწოდება მოახერხა. ჯანლუკა პალიუკა ერთი ნაბიჯით წინ იყო და ბურთს ვერ შეწვდა. იგი შორეულ ძელთან თანაგუნდელებმა დააზღვიეს. სამ წუთში „ინტერის" ინგლისელმა ნახევარმცველმა პოლ ინსმა წამოიწყო ჩქარი შეტევა და სამორანოს სახიფათო დარტყმისთვის შეუქმნა პირობა. ამის შემდეგ, მე-12-ზე, მილანური კუთხური ჯორკაეფის ჩაწოდებით, ჩირიაკო სფორცას თაურით და ბარტეზის კარგი ნახტომით დასრულდა, მაგრამ კიდევ ოთხ წუთში ფრანგმა მეკარემ, მელოტ თავს გადაპარსული რომ ურჩევნია, ველარაფერი გააწყო. საქმე ასე იყო: ხავიერ ძანეტის შეტევა მოედნის ცენტრსა და საჯარიმოს შორის გრიმანდიმ ჩაჭრა, მაგრამ მსაჯმა ხელით თამაში შენიშნა და ჯარიმა დასტვინა. ჩვეულებრივ, ასეთ დროს, პაუზაა ხოლმე, დამცველი გუნდი არბიტრს ედავება, შემტევი გულდაგულ რაღაცას ამზადებს, აქ კი მილანელებმა გრიმანდის ხელების გაშლა შუა გზაზე გაუხუნეს, სწრაფი გათამაშებით განცს საჯარიმოში გადააწოდეს ბურთი, რომელმაც ბლონდოს არ წაართმევინა და ანგარიში გახსნა. 28 წლის თავდამსხმელმა 29-ე წუთზე მეორედაც შეაგდო: სწრაფი კონტრშეტევისას ჯორკაეფის პასით ჯერ მცველი ჩამოიცილა, შემდეგ მახვილი კუთხე ორიოდ ნაბიჯით „გაიბლაგვა" და დაბალი დარტყმით მიაღწია მიზანს. ამრიგად, განცს უეფას თასზე გატანილი რვა გოლი დაუგროვდა და სამივე ევროტურნირის ბომბარდირთა ლიდერია.

34-ე წუთზე „მონაკომ" თავისი წილი შეტევა გაბედა. კუთხური იყო, პისტონემ თავით მოგერიება რომ სცადა, მაგრამ ბურთი პენალტის ნიშნულთან დაეშვა, საიდანაც გრიმანდმა დაარტყა და მაქსიმუმ მეტრნახევარით აცილა მეკარისგან მარჯვენა ძელს. სამაგიეროდ, ტაიმის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე საპირისპირო კართან არ აცილა სამორანომ. ჩილელმა შეტევა თავად წამოიწყო, შუა მოედანში ბურთი ჯორკაეფს გადასცა, რომელმაც ჩვეული კარგი პასი გაუჭრა განცს. განცი საჯარიმოში მარჯვნიდან კარგად შედიოდა, მაგრამ ალტრუიზმი მოეძალა და შორეული ძელისკენ სამორანოს გადააწოდა, რომელმაც კომბინაცია გოლით დაასრულა.



ინტერი — მონაკო. სონი ანდერსონი მასპინძელთა ინგლისელ ინსს გაურბის

სულ სხვა იყო მეორე ტაიმი, რომლის პირველივე წუთზე პისტონესთან ძიძგილაობისთვის გრიმანდი გააძევეს მოედნიდან. პირველ ტაიმში გაცამტვერებულ და შესვენების შემდეგ კაცგაგდებულ „მონაკოს" თითქოს სრული კაპიტულაცია უნდა გამოეცხადებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, სტუმრები მასპინძლებს მიუხდნენ და ორმოცდახუთივე წუთი მისი საჯარიმოს სიახლოვეს გაატარეს. ძნელი სათქმელია, „ინტერის" უკან დაწევა მისი მწვრთნელის როი ჰოჯსონის ჩანაფიქრი იყო თუ მონაკოელთა ძალის ზეობა. იქნებ ერთიც და მეორეც, თუმცა სახიფათო მომენტებით მეორე ნახევარი პირველს ვერ შეედრებოდა, რაც ალბათ ისევ და ისევ იმის ბრალი გახლდათ, რომ „მონაკოს" ფორვარდები საგულდაგულოდ იყვნენ მოგუდულნი. ამ ტაიმმა ერთი, მაგრამ ძალიან ლამაზი გოლი მოიტანა: მოედანზე ორი წუთის შესულმა ვიქტორ იკპებამ პისტონეს ბურთი თავზე გადაავლო, რამდენიმე ნაბიჯით საჯარიმოს ხაზის გასწვრივ გაირბინა და მოსხლეტილი დარტყმით ბურთი მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში შეაგდო. დაცვაში „მონაკო" აღარ შემცდარა — ხელოვნურ ოფსაიდებს ასრულებდა დიდი სიზუსტით.

### ტენერიფე 1:0 შალკე

კანარელებმა მეხუთე წუთზე გაიტანეს: მარჯვნიდან ხუანელემ გაიკვლია გზა მეტოქის კარისკენ, მაგრამ „შალკეს" კაპიტანმა ოლაფ ტონმა საჯარიმოში დასცა და პენალტით დაისაჯა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ფელიპე მინამბრესმა შეასრულა ზუსტად — გერმანული გუნდის მეკარე იენს ლემანი კუთხის არჩევაში შეცდა.

ტაიმის შუაში პინილიას და ხუანელეს ებოძათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, ორივენი საგოლე პოზიციაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ერთმანეთს ხელი შეუშალეს და საუცხოო შესაძლებლობა ქარს გაატანეს. მალე „შალკესაც" აერია გონება: ანდერბრიუგეს პირველი დარტყმა მასპინძელთა მეკარემ მარსელო ოხედამ მოიგერია, განმეორებითში კი თანაგუნდელმა შეუშალა ხელი. შესვენებამდე ანდრეას მიულერმა და ირჟი ნემეცმაც ვერ გამოიყენეს გასათანაბრებლად გამოსადეგი მომენტები.

შესვენებულმა გერმანელებმა ორმაგი ენერგიით მოიწადინეს თამაშის ბედის მოტრიალება, მაგრამ კინაღამ ფელიპეს დარტყმული გაუშვეს. შეცდომა ტონმა დაუშვა, მაგრამ მის გასახარად თავად დარტყმა აღმოჩნდა უზუსტო. ეს მეორე ნახევრის სულ დასაწყისში მოხდა, 55-ზე კი მატჩის ნირი შეიცვალა. რადოსლავ ლატალმა ანხელ დორადოს წინააღმდეგ სახიფათოდ ითამაშა და პასუხად იდაყვის გარტყმა მიიღო. არბიტრმა ეპიზოდი ესპანელისთვის წითლად შეაფასა. აქედან მოყოლებული, „ტენერიფეს" ცუდი დრო დაუდგა. ერთხელ მარკ ვილმოტსმა თაურით ძელს გაურტყა ბურთი, ორჯერ კი ანდერბრიუგეს ოხედამ აუღო დიდებულად. 75-ე წუთზე მასპინძელთა მიერ ნახევარდაცვაში დაშვებულმა შეცდომამ ვილმოტსი გოლკიპერთან პირისპირ გაიყვანა. ოხედამ მდგომარეობა წესის დარღვევით განმუხტა, მაგრამ ვაგლახ — უკანასკნელი იმედის წესით წითელი იხილა და გასახდელისკენ მიმავალ ბილიკს შეუყვა. ცხრა მოთამაშით დარჩენილმა კანარელებმა მოედანზე სათადარიგო მეკარე შვედი ბენგტ ანდერსონი გაიყვანეს. შვედის კარი ბურთმა მაინც ვერ დაამარცხა, მაშინაც კი იოჰან დე კოკმა პენალტი რომ დაარტყა. პენალტის ამცილებელ გერმანელებს არც მერე გაუმართლათ, მათ არც ამერიკელი ტომ დულითა და დავიდ ვაგნერით თავდასხმის გაძლიერებამ უშველათ.

საპასუხო შეხვედრას „შალკე" ანდრეას მიულერის გარეშე ჩაატარებს, „ტენერიფეს" კი ოხედა, დორადო, ანტონიო რობაიანა და ხუანელე არ ეყოლება.

**პაპუნა ძიძია**

## თასების თასი

Cup Winners' Cup

დღეს ნახევარფინალებია. გათამაშების ბოლოსწინა ეტაპს მართლაც რომ უძლიერესნი შემორჩნენ. ოთხივე გუნდს თასის მოპოვების თანაბარი შანსი აქვს და ნაადრევად ვერცერთს ჩამოწერ.

ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „ლივერპული" პარიზს სტუმრობს. სწორედ საფრანგეთის დედაქალაქში იგდეს ხელთ წითლებმა 1981 წელს ჩემპიონთა თასი, მაშინ მათ „რეალი" გაამწარეს. ისევე, როგორც შორეულ 81-ში, ალბიონელები ახლაც იმავე სასტუმროში დაბინავდნენ — ეტყობა, კარგად დასცადეს. ლივერპულელთა იმ თაობის წარმომადგენელმა დევიდ ფეირკლაფმა განაცხადა, მაშინ ფრანგთა უძლიერესი კლუბი „სენტ-ეტიენი" იყო, ახლა კი მეორე ადგილის მიუხედავად, „მონაკოს" პსჟ-ს ვამჯობინებო. წარსულში საფრანგეთის ნაკრების მეკარემ, ახლა პსჟ-ს მეკარეთა მწვრთნელმა ჟოელ ბატსმა თავისიანებიდან ლოკო გამოარჩია — ვფიქრობ, ლივერპულელებს ყველაზე მეტად მისი უნდა ეშინოდეთო. ბატსმა ბოლოს დასძინა, „ლივერპული" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ შარშანდელი მიღწევის გამეორება ძალგვიძს და თასს არც წელს დავთმობთო. პარიზელთა ბრაზილიელ ლეონარდოს გამარჯვების იმედი აქვს: „ინგლისელებთან ადრეც მითამაშია, მაგრამ ევროტურნირები სულ სხვა საქმეა. ვფიქრობ, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ." ლივერპულელებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს, რაც უნდა იყოს, სტუმრად თამაშობენ. უეჭველია, სასურველი შედეგის მისაღწევად იბრძოლებენ, რაც მათთვის მოგება თუ არა, ფრე ნამდვილად იქნება.

მეორე ნახევარფინალში „ფიორენტინა" და „ბარსელონა" იდავებენ „კამპ ნოუზე". იტალიელები შვედ ნახევარმცველ შტეფან შვარცს მოისაკლისებენ, კატალონიელებს კი, მათდა საბედნიეროდ, ყველა მოთამაშე ჯანზე ჰყავთ.

## ნილს ლიდჰოლმი „რომას" დაუბრუნდა

„რომამ" ამ დღეებში არგენტინელი მწვრთნელი კარლოს ბიანკი გაუშვა და 74 წლის შვედი, ლეგენდარული ნილს ლიდჰოლმი მიიწვია, სწორედ ის ლიდჰოლმი, ვინაც გრენთან და ნორდალთან ერთად 50-იან წლებში თავდამსხმელთა ლეგენდარული ტრიო — „გრე-ნო-ლი" შექმნა. „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, ბიანკის გაშვება ძალზე მტკივნეულად აღვიქვით, მაგრამ სეზონის წინ დასახული მიზნის მიღწევის იმედი გადაგვეწურა და ამ ეტაპზე გაყრა ვამჯობინეთო.

ლიდჰოლმი-მოთამაშე „მილანის" რიგებში ოთხჯერ გახდა აპენინების ჩემპიონი: 1949, 1950, 1960 და 1961 წლებში, მერე კი სწორედ მწვრთნელ ლიდჰოლმის ხელმძღვანელობით გავიდა „რომა" 1983 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში, მაგრამ პენალტებით წააგო და თასი „ლივერპულს" გაატანა. სულ ლიდჰოლმმა სამჯერ უთავკაცა „რომას": 1973-77, 1979-85 და 1987-89 წლებში, ახლა კი მეოთხედ ეწვია რომს. საინტერესოა, რას მოუტანს ხანდაზმული შვედის დაბრუნება ღლესდღეობით უეფას ადგილისთვის მებრძოლ „რომას".


ფირმა „ფორტუნა-97" ატარებს
თბილისის პირველ ღია ჩემპიონატს
ჯოკერსა და პრეფერანსში
მონაწილეობა ფასიანია:
ჯოკერი 30 ლარი პრეფერანსი 40 ლარი
პრიზიორები დაჯილდოვდებიან
სოლიდური თანხით
მსურველთა რეგისტრაცია:
17 აპრილის ჩათვლით — „ჯოკერში"
1 მაისის ჩათვლით — „პრეფერანსში".
ცნობებისთვის მიმართეთ: ჭავჭავაძის გამზ. №49ა
სპორტის დეპარტამენტის შენობაში, სალონი „ფერია"
ლოკომოტივის სტადიონის პირდაპირ
10 საათიდან 20 საათამდე ☎ 23 41 96


## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აფრიკა

I ჯგუფი

**კენია — ბურკინა ფასო 4:3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| გვინეა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კენია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ბურკინა ფასო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

II ჯგუფი

**ლიბერია — ეგვიპტე 1:0**

**ნამიბია — ტუნისი 1:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| ლიბერია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 0 | 2 | 7:3 | 3 |
| ნამიბია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |

III ჯგუფი

**კონგო — სამხრეთ აფრიკა 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კონგო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| ზაირი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ზამბია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

IV ჯგუფი

**ანგოლა — ტოგო 3:1**

**კამერუნი — ზიმბაბვე 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანგოლა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კამერუნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ზიმბაბვე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ტოგო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |

V ჯგუფი

**გაბონი — მაროკო გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| სიერა ლეონე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| განა | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| გაბონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

## ესპანეთი

### XXXII ტურის ბოლო მატჩი

**რეალი 0:0 კომპოსტელა**

მასპინძლებმა თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ითამაშეს, მაგრამ... რაულმა, შუკერმა და მიატოვიჩმა უამრავი რეალური შანსი ვერ გამოიყენეს. ის კი არა, „რეალი" პენალტს გადაურჩა: იერომ პენევი დასცა, თუმცა მსაჯმა წესის დარღვევა არ აღნიშნა. მეორე ტაიმში კაპელომ ახალი შენაძენი, ბრაზილიელი ზე რობერტო გამოსცადა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 32 | 21 | 10 | 1 | 66:25 | 73 |
| ბარსელონა | 32 | 20 | 6 | 6 | 80:38 | 66 |
| ბეტისი | 32 | 18 | 10 | 4 | 70:34 | 64 |
| დეპორტივო | 32 | 17 | 12 | 3 | 48:22 | 63 |
| ატლეტიკო | 31 | 16 | 7 | 8 | 59:44 | 58 |
| ბილბაო | 32 | 11 | 15 | 6 | 57:44 | 48 |
| ვალიადოლიდი | 32 | 13 | 9 | 10 | 44:37 | 48 |
| სოსიედადი | 32 | 13 | 8 | 11 | 39:36 | 47 |
| ტენერიფე | 31 | 12 | 8 | 11 | 52:37 | 44 |
| ვალენსია | 32 | 12 | 7 | 13 | 47:45 | 43 |
| რასინგი | 32 | 10 | 12 | 10 | 37:36 | 42 |
| სელტა | 32 | 9 | 12 | 11 | 38:40 | 39 |
| ოვიედო | 32 | 10 | 8 | 14 | 34:50 | 38 |
| კომპოსტელა | 32 | 9 | 10 | 13 | 35:52 | 37 |
| სპორტინგი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:52 | 35 |
| ესტრემადურა | 32 | 9 | 8 | 15 | 28:47 | 35 |
| ესპანიოლი | 32 | 9 | 7 | 16 | 34:46 | 34 |
| სარაგოსა | 32 | 7 | 12 | 13 | 39:51 | 33 |
| რაიო | 32 | 9 | 6 | 17 | 31:46 | 33 |
| ერკულესი | 32 | 8 | 4 | 20 | 29:59 | 28 |
| ლოგრონიესი | 32 | 8 | 4 | 20 | 26:65 | 28 |
| სევილია | 32 | 7 | 5 | 20 | 29:56 | 26 |

### მეორე დივიზიონი

**30-ე ტური:** ბარსელონა B — ოსასუნა 0:0, სალამანკა — ესიხა 4:0, ვილიარეალი — ლას პალმასი 1:0, ატლეტიკო B — ორენსე 0:1, ბადახოსი — ალბასეტე 0:0, მალიორკა — მერიდა 1:1, ალავესი — ლეგანესი 2:0, ლევანტე — ალმერია 2:2, ეიბარი — ტოლედო 1:0, ლერიდა — რეალი B 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალიორკა | 30 | 17 | 8 | 5 | 47:27 | 59 |
| მერიდა | 30 | 16 | 8 | 6 | 44:25 | 56 |
| სალამანკა | 30 | 14 | 9 | 7 | 52:28 | 51 |
| ეიბარი | 30 | 13 | 12 | 5 | 36:22 | 51 |
| ალბასეტე | 30 | 14 | 9 | 7 | 39:26 | 51 |
| ბადახოსი | 30 | 11 | 14 | 5 | 26:18 | 47 |
| ლევანტე | 30 | 10 | 10 | 10 | 43:36 | 40 |
| ორენსე | 30 | 10 | 10 | 10 | 29:33 | 40 |
| ალავესი | 30 | 10 | 9 | 11 | 35:33 | 39 |
| ლას პალმასი | 30 | 10 | 9 | 11 | 37:38 | 39 |
| ვილიარეალი | 30 | 11 | 6 | 13 | 30:40 | 39 |
| ლეგანესი | 30 | 9 | 11 | 10 | 33:32 | 38 |
| ატლეტიკო B | 30 | 10 | 8 | 12 | 42:43 | 38 |
| ლერიდა | 30 | 9 | 10 | 11 | 35:33 | 37 |
| ტოლედო | 30 | 9 | 9 | 12 | 30:37 | 36 |
| ალმერია | 30 | 6 | 14 | 10 | 31:40 | 32 |
| ოსასუნა | 30 | 7 | 10 | 13 | 29:34 | 31 |
| რეალი B | 30 | 8 | 6 | 16 | 32:60 | 30 |
| ბარსელონა B | 30 | 6 | 11 | 13 | 33:46 | 29 |
| ესიხა | 30 | 5 | 7 | 18 | 19:51 | 22 |

**შვეიცარიის** ჩემპიონატის აუტსაიდერ „ბაზელს“ მომავალი სეზონიდან გერმანელი იორგ ბერგერი უმწვრთნელებს. ბერგერმა სეზონის წინ დატოვა „შალკე 04“, რომელიც ევროტურნირებზე გაიყვანა. ბერგერს სამწვრთნელო კარიერა გელზერკირხენის კლუბის გარდა „კიოლნს“ და ფრანკფურტის „აინტრახტში“ გაუტარებია.

**იტალიის** ერთ დროს სახელოვანი კლუბის „ტორინოს“ მწვრთნელს მაურო სანდრინის შინ ზედიზედ მესამე დამარცხება არ აპატიეს და გაანთავისუფლეს. კლუბს მეკარეთა მწვრთნელი ლიდო ვიერი უხელმძღვანელებს.

**ნიგერიის** ფეხბურთის ასოციაციამ უარყო ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობა გვინეასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს ხუთი გულშემატკივრის დაღუპვის შესახებ. ნიგერიის ფეხბურთის აღშფოთებულმა მამებმა ტელევიზიას ურჩიეს, ინფორმაციები ჯერ გადაამოწმეთ და მერე განაცხადეთო.

**ლიბერიელ** ჟორჟ ვეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა ბავშვთა დაცვის ფონდმა ბავშვთა დაცვისა და შიდსის საწინააღმდეგო კამპანიაში მონაწილეობის მიღება სთხოვა. ამ დღეებში მილანში შეკრებილმა ფონდის წარმომადგენლებმა ვეას გარდა თანადგომა ხულიო იგლესიასსაც სთხოვეს, რომელმაც თანხმობა არ დააყოვნა. ამასობაში აფრიკას მყოფმა ჟორჟ ვეამ „იუვენტუსთან“ „მილანის“ განადგურების ამბავი რომ შეიტყო, შეიცხადა, „მილანს“ ასეთი მარცხს ნამდვილად არ ველოდით. „ერთი ან ორი ბურთით წაგება კიდევ არაფერი, უარეს შემთხვევაში შეიძლება სამი ბურთით წააგო, 16 კი მეტისმეტია“ — განაცხადა აღშფოთებულმა ვეამ „არ ვიცი, ჩემი იქ ყოფნა რამეს შეცვლიდა თუ არა, მაგრამ ასეთ სამარცხვინო მარცხს ნამდვილად გადავრჩებოდით“ — დასძინა მან.

**იტალიის** „ნაპოლიმ“ ფედერაციაში უჩივლა „პერუჯასთან“ მატჩის არბიტრს და მისი დისკვალიფიკაცია მოითხოვა. ბოლო ტურში, როცა „ნაპოლი“ სტუმრებს 1:0 უგებდა, პერუჯელთა ხორვატმა ფორვარდმა მილან რაპაიჩმა ხელით შეაგდო, რაც ფედერაციის მიერ წარგზავნილი ოთხი ოფიციალური პირის გარდა ყველამ შენიშნა.

**ალბანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, შესაძლოა ომის გამო იანვარში შეწყვეტილი ქვეყნის ჩემპიონატი ამ დღეებში განვაახლოთო. 8 გუნდიანი ჩემპიონატის დარჩენილი 17 ტურის მატჩები რამდენიმე ქალაქში პოლიციის თანხლებით გაიმართება. ფედერაციამ პირველობასთან ერთად თასის გათამაშების განახლებაც მოიწადინა.

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრების 21 წლის იმედისმომცემმა მცველმა მარკ ფიშმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, შესაძლოა, სეზონის ბოლოს „ლაციო“ დავტოვოო. იტალიაში გადასვლის შემდეგ ფიშს უიღბლობა დაებედა. სერია A-ში სამხრეთაფრიკელს იანვრის შემდეგ არ უთამაშია. ამაში ხან ტრავმები უშლიდა ხელს, ხანაც დინო ძოფი, რომელიც მის დაყენებას საჭიროდ არ თვლიდა. ფიშმა 24 მაისს ინგლისელებთან თამაშის დიდი სურვილი გამოთქვა. ინგლისი ისტორიაში პირველად ეთამაშება სამხრეთ აფრიკას, მაგრამ არა „უემბლიზე“, არამედ მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი ქართველებთან მატჩის შემდეგ სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო იხურება.

**პარაგვაის** დედაქალაქ ასუნსიონის „გუარანიმ“ ლიბერტადორესის თასის გათამაშების პირველ ქვეჯგუფში 3:1 მოუგო „ბოლივარს“. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მასპინძლებმა პირველი ტაიმის 25-ე წუთამდე გამარჯვებამდე მიიყვანეს საქმე.

**ესპანეთის** „ატლეტიკომ“ ინგლისის „ასტონ ვილას“ ფორვარდის, ტრინიდადელი დუაიტ იორკის შესყიდვის სურვილი გამოთქვა. ბირმინგემელთა მწვრთნელი ბრაიან ლიტლი ტელეფონით ესაუბრა ანტიჩს და თუმცა მადრიდელმა გვარიანი თანხა — 15 მილიონი დოლარი შესთავაზა მას, ინგლისელმა იუარა — იორკი არ მეტებაო. თავად ანტიჩმა განაცხადა, წელს თავდასხმაში ერთობ გვიჭირს და დუაიტი ძალზე გაგვაძლიერებდაო.

**ეგვიპტის** ნაკრებმა ნეიტრალურ მოედანზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი წააგო ლიბერიასთან — 0:1, რამაც სასტიკად აღაშფოთა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ქამალ ალგანზური. მან ყველა გაზეთს მოსთხოვა პირველ გვერდზე კრიტიკული სტატიების დაწერა ამ თამაშის შესახებ. ჟურნალისტებმაც ყურად იღეს გაცხარებული პრემიერის ბრძანება. ეგვიპტეში ომით გათანგულ ლიბერიასთან მარცხი ტრაგედიად აღიქვეს. ფავორიტებს სასიკვდილო გოლი „მილანის“ ფორვარდმა ჟორჟ ვეამ გაუტანა.

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში გამართულ ბოლო ტურის შეხვედრას „ჰერტასა“ და „კაიზერსლაუტერნს“ შორის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა, 75 ათასი დაესწრო. ეს 1936 წელს აგებულ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე მოხდა. მატჩი მასპინძლებმა მოიგეს 2:0 და გათამაშების სათავეში მოექცნენ. 1990-91 სეზონის შემდეგ „ჰერტას“ ბუნდესლიგაში აღარ უთამაშია, თუმცა, როლფ შმიდტ-ჰოლცის მისვლამ გუნდის მიზანი რეალური გახადა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ჩემპიონატის ლიდერმა „რეალმა“ კლინსმანს მომავალ სეზონში მადრიდში გადაბარგება შესთავაზა. ჯერჯერობით უცნობია, ბოლო წლების მსოფლიოს უძლიერესი ფორვარდის აზრი, რადგან „რეალის“ გარდა მას ლივერპულის „ევერტონიც“ იწვევს. ის კი უეჭველია, რომ იურგენი სეზონის ბოლოს გერმანიის დატოვებას აპირებს.

**რუმინეთის** კლუბმა კრაიოვას „უნივერსიტატიამ“, ვისაც თბილისის „დინამომ“ უეფას თასზე ორჯერ მოუგო, ახალ პრეზიდენტად ყოფილი მსაჯი იონ კრაჩუნესკუ აირჩია. იონმა ვიქტორ ბეჩალი შეცვალა. 1995 წელს მსაჯობას თავდანებებულმა კრაჩუნესკუმ განაცხადა, ჩემი ოცნება „უნივერსიტატიას“ უმაღლესი კლასის გუნდად ქცევაა, რისთვისაც ძალ-ღონეს არ დავიშურებო.

**ჰოლანდიაში** დააკავეს 23 მარტს „აიაქსის“ ქომაგის მკვლელობაში ეჭვმიტანილი „ფეიენოორდის“ ხუთი გულშემატკივარი. „აიაქსის“ ფანების ერთ-ერთი ჯგუფის 35 წლის თავკაცი კარლოს პიკორნი ჩხუბის დროს დანით მოკლეს. პოლიციის ცნობით, დღესდღეობით 25 როტერდამელი ჩხუბისთავია დაკავებული.

**პორტუგალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურის ბოლო შეხვედრა ორშაბათს გაიმართა: უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ გამამწარებელმა პორტუს „ბოავიშტამ“ სტუმრად დიდი ანგარიშით 4:0 სძლია „გიმარაეში“.

**საფრანგეთის** კლუბ „ნანსის“ მოთამაშე 26 წლის ჯიმი მეილერი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ რვა თვით ჩამოაშორა ფეხბურთს. მეილერი ნარკოტიკების მიღებაში ამხილეს. ეს მისი პირველი დისკვალიფიკაცია არ არის — ადრე იგი ანაშის წევისთვის მოკვეთეს.

**უელსში** მომავალ კვირას ფეხბურთის ასოციაციის ყრილობაზე განიხილავენ ნაკრების მწვრთნელის ბობი გოლდის დარჩენა-არდარჩენის საკითხს. გარდა იმისა, რომ გოლდის ხელმძღვანელობით ნაკრები ცუდად თამაშობს, მწვრთნელი კიდევ ერთ შარში გაეხვა გასული თვის ბოლოს — ნაკრების შავკანიანმა ფორვარდმა ნათან ბლეიქმა განაცხადა, გოლდი რასისტული შეძახილებით მამკობსო, რაც მწვრთნელმა უმალ უარყო და გაუგებრობისთვის მოიბოდიშა კიდეც. მოკლედ, გოლდის სანაკრებო კარიერას საფრთხე ემუქრება.



ბობ გოლდი

**საბერძნეთის** ჩემპიონატში ორშაბათს ბოლო ტურის ბოლო შეხვედრა გაიმართა: „კალამატა“ შინ ვერ გაუმკლავდა „პირგოსს“ — 0:2.

**ინდოეთში** მიმდინარე ხუთი ერის საერთაშორისო ტურნირში, ნერუს „ოქროს თასი“ რომ ჰქვია, დასრულდა ჯგუფური ტურნირი. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ერაყი — ინდოეთი და უზბეკეთი — ჩინეთი. გათამაშებაში ოთხივე მატჩი მოიგო ერაყმა.

**ინგლისში** მოთამაშე იტალიელმა ფაბრიციო რავანელიმ განაცხადა, მართალია, აქილევსის მყესების დაზიანება დამიდგინეს, მაგრამ სეზონის ბოლომდე ოპერაციის გამკეთებელი არ ვარო. იტალიელმა 27 გოლი შეაგდო ინგლისში და ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. ფაბრიციოს დიდი სურვილი აქვს, წელს „მიდლსბროს“ ორივე თასის მოპოვებაში დაეხმაროს.

**ავსტრიის** თასის გათამაშების მეოთხედფინალის შეხვედრები ასე დასრულდა: „ვიენამ“ სტუმრად 1:0 მოუგო გრაცის „კაზინოს“, გრაცის მეორე კლუბმა „შტურმმა“ სტუმრად 3:2 სძლია ლაშტენოს „აუსტრია“, 1994 წლის უეფას თასის ფინალისტმა ზალცბურგის „კაზინომ“ თავისი მასპინძელი „ვინერ შპორტკლუბი“ გაანადგურა — 1:0, ჩვენთვის ნაცნობი ინსბრუკის „ტიროლი“ კი შინ ვერ გაუმკლავდა „ლინცერს“ — 0:1.

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ლიგის თასის ფინალური მატჩი, რომელიც ბელფასტის „უინძორ პარკის“ სტადიონზე გაიმართა, „გლენავონმა“ 1:0 დაამარცხა „გლენტორანი“. გადამწყვეტი გოლი 88-ე წუთზე გამარჯვებულ გუნდში მეასედ მოთამაშე ლი დოჰერტიმ შეაგდო.

## ინგლისი

**XXXIII ტურის ბოლო მატჩი**

**ლიდსი 0:0 ბლექბერნი**

**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, უეზეროლი, შარპი (ლორენი 84), ჰოლეხი (ლილი 84), რაში, დინი, ბოუერი, ჰოლი, ჯექსონი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, სატონი, ბოჰინენი, მარკერი, მაკკინლი, ბერგი, პირსი

„ლიდსის“ 27 ათასი ქომაგი გაწბილებული დარჩა. ის, რაც მათ მოედანზე იხილეს, ვალის მოსახდელად ბურთაობა უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთი. მასპინძელთა გულშემატკივრებმა, როგორც იქნა, საქმეში იხილეს „ლიდსის“ ორი ახალი შენაძენი — შოტლანდიელი ფორვარდი დერეკ ლილი და ფრანგი გარემარბი პიერ ლორენი, მაგრამ ვერც ამათ გამოაცოცხლეს ეს უსახური თამაში. სრულიად უინტერესო მატჩში ტრიბუნები ერთადერთხელ ახმაურდნენ — მაკკინლის ჩაწოდებული გალაჰერმა ხარიხას რომ გაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 18 | 9 | 5 | 63:36 | 63 |
| არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 55:28 | 60 |
| ლივერპული | 32 | 17 | 9 | 6 | 54:28 | 60 |
| ნიუკასლი | 31 | 15 | 8 | 8 | 60:37 | 53 |
| ასტონ ვილა | 32 | 15 | 8 | 9 | 40:28 | 53 |
| ჩელსი | 32 | 13 | 10 | 9 | 51:47 | 49 |
| შეფილდი | 31 | 12 | 13 | 6 | 41:37 | 49 |
| უიმბლდონი | 31 | 12 | 10 | 9 | 42:38 | 46 |
| ტოტენჰემი | 32 | 12 | 6 | 14 | 39:43 | 42 |
| ლიდსი | 33 | 11 | 9 | 13 | 26:34 | 42 |
| ლესტერი | 31 | 10 | 9 | 12 | 37:44 | 39 |
| დერბი ქაუნთი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:49 | 38 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 13 | 11 | 33:32 | 37 |
| ევერტონი | 32 | 9 | 9 | 14 | 38:48 | 36 |
| სანდერლენდი | 33 | 8 | 10 | 15 | 30:49 | 34 |
| ვესტ ჰემი | 31 | 8 | 9 | 14 | 31:41 | 33 |
| ქოვენთრი | 33 | 7 | 12 | 14 | 29:47 | 33 |
| მიდლსბრო | 31 | 9 | 8 | 14 | 44:52 | 32 |
| ნოტინგემი | 34 | 6 | 13 | 15 | 29:52 | 31 |
| საუთჰემპტონი | 32 | 7 | 9 | 16 | 42:52 | 30 |

თქვენ ჩოყვარო ფეხბურთი! ფეხბურთი გაძლევთ შანსს! უპასუხეთ მხოლოდ ხუთ შეკითხვას და დაისვენეთ ესპანეთში

# დღევანდელ „სარბიელში“ გთავაზობთ ორ ბილეთს ანუ ორ შანსს!

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?

:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?

:

სახელი, გვარი

მისამართი ☎

სამსახური

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

№ ბილეთის ჩაბარების თარიღი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVII ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — კარლსრუე | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| არმინია — ჰამბურგი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — დორტმუნდი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| შალკე — ვერდერი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| შტუტგარტი — ჰანზა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ზანქტ პაული — მიუნხენ 1860 | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ბაიერნი — კიოლნი | 1,2 | 4,2 | 8,0 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — დიუსელდორფი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXV ტური

11-13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| აინტრახტი — კარლ ცაისი | 1,35 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| კაიზერსლაუტერნი — ლაიპციგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| მანჰაიმი — ურდინგენი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| როტ ვაისი — გიუტერსლოო | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ლიუბეკი — ვოლფსბურგი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| მეპენი — კიკერსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ფორტუნა — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| ოლდენბურგი — ჰერტა | 4,0 | 3,6 | 1,5 |
| ცვიკაუ — მაინცი | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლესტერი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ბლექბერნი — მანჩესტერი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| დერბი ქაუნთი — ასტონ ვილა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ევერტონი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| შეფილდ უენსდეი — ნიუკასლი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სანდერლენდი — ლივერპული | 3,6 | 3,1 | 1,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXII ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ჩარლტონი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბირმინგემი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ბოლტონი — ოქსფორდი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ნორვიჩი — სტოკ სიტი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| პორტ ვეილი — ოლდემი | 1,4 | 3,6 | 5,0 |
| პორტსმუთი — ტრანმერი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ქუინზ პარკი — გრიმსბი | 1,4 | 3,6 | 5,0 |
| რედინგი — ვულვერჰემპტონი | 3,6 | 3,4 | 1,6 |
| შეფილდ იუნაიტედი — კრისტალ პალასი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| საუთენდი — ბრედფორდი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სვინდონი — იფსვიჩი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერ სიტი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისის თასის ნახევარფინალი. ნეიტრალურ მოედნებზე

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიდლსბრო — ჩესტერფილდი | 1,25 | 4,2 | 6,5 |
| უიმბლდონი — ჩელსი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბორდო — სტრასბური | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — კილმარნოკი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| დანფერმლაინი — ჰიბერნიანი | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| ჰართსი — აბერდინი | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| მოზერველი — რეით როვერსი | 1,6 | 3,2 | 4,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXVII ტური

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ბოლონია | 2,2 | 2,6 | 2,8 |
| ინტერი — მილანი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| იუვენტუსი — უდინეზე | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ნაპოლი — კალიარი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| პიაჩენცა — ფიორენტინა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| რეჯანა — ვიჩენცა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| რომა — პარმა | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| სამპდორია — ლაციო | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ვერონა — პერუჯა | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIX ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ტორინო | 3,3 | 3,0 | 1,8 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეზენა — ბარი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ბრეშია — დი სანგრო | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| სალერნიტანა — კიევო | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ლეჩე — პალერმო | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ემპოლი — კოზენცა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| პესკარა — ჯენოა | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ვენეცია — ლუკეზე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| რეჯინა — პადოვა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ფოჯა — რავენა | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIII ტური

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ბარსელონა | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| სპორტინგი — ვალიადოლიდი | 2,4 | 2,6 | 2,5 |
| ვალენსია — ბილბაო | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სევილია — ესტრემადურა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ლოგრონიესი — რეალი | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| კომპოსტელა — სელტა | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ტენერიფე — დეპორტივო | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| სარაგოსა — ერკულესი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სოსიედადი — ბეტისი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| რასინგი — რაიო ვალეკანო | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ესპანიოლი — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXI ტური

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი B — ბარსელონა B | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ოსასუნა — სალამანკა | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ესიხა — ვილიარეალი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლას პალმასი — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ორენსე — ბადახოსი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ალბასეტე — მალიორკა | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| მერიდა — ალავესი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლეგანესი — ლევანტე | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ალმერია — ეიბარი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ტოლედო — ლერიდა | 2,0 | 2,8 | 3,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. V ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ჩერნომორეცი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ალანია — ბალტიკა | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| როტორი — კრილია სოვეტოვი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| დინამო — როსტსელმაში | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ნოვგოროდი — ტიუმენი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ტორპედო — კამაზი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ჟემჩუჟინა — ზენიტი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| შინიკი — ცსკა | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ფაკელი — ლოკომოტივი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — სპარტა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სიტარდი — ალკმაარი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიტესი — ვოლენდამი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| უტრეხტი — ჰერენვენი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| გრააფსხაპი — ბრედა | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ტვენტე — გრონინგენი | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ტილბურგი — ფეიენოორდი | 5,3 | 3,4 | 1,4 |
| ეინდჰოვენი — აიაქსი | 1,9 | 2,8 | 3,2 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მარიტიმუ — ბელენენსეში | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| შავეში — ლეირია | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რიუ ავე — ლეცა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| სალგეირუში — სეტუბალი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ფარენსე — პორტუ | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| ამადორა — ჟილ ვისენტე | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ესპინიუ — გიმარაეში | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| სპორტინგი — ბრაგა | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბოავიშტა — ბენფიკა | 3,1 | 2,9 | 1,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXIX ტური

11 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სარიერი — ტრაბზონსფორი | 5,6 | 4,0 | 1,3 |

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ქოჩაელი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ისტანბული — გალათასარაი | 5,3 | 3,4 | 1,4 |

13 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალთაი — ბეშიქთაში | 7,0 | 4,0 | 1,25 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXX ტური

12 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — სერკლ ბრიუგე | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| შარლერუა — აალსტი | 1,4 | 3,6 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ბრიუგე — მუსკრონი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ეკერენი — ლომელი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| გენკი — ანტვერპენი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ლიერსი — ჰარელბეკი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მეხელენი — ლოკერენი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| მოლენბეკი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,7 | 2,3 |
| სენტ ტრიუდენი — გენტი | 1,7 | 2,9 | 4,0 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# ბოლო წრის წინ

**საქართველოს ჩემპიონატი**

ვერის ბაღი. 8 აპრილი.
ხუთეულის III წრის შეხვედრა.

**ქიმიკოსი — შევარდენი 80:81**

**ქიმიკოსი: გაბისონია (20), კიკვიძე (3), გოგოლაძე (9), კუჭაყმაძე (4), ბოისა (24); ნიკლაური (17), კოქლამაზაშვილი (3)**
**შევარდენი: ორჯონიკიძე (12), ჩხეიძე (20), ნონელია (21), გიგაური (15), ქავხიშვილი (7); მაჭავარიანი (2), ცაგარეიშვილი (4)**

რუსთავის „ქიმიკოსმა" (გუნდი ამ სახელს უფრო ჰგუობს), მას შემდეგ, რაც გამოტოვებული მატჩები ითამაშა, წინასწარ ჩაატარა შეხვედრა „შევარდენთან", რადგან რუსთაველთა გუნდის წევრები, ყოველ შემთხვევაში, „ქიმიკოსის" ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ ბოისა უეჭველად, ახალგაზრდულ ნაკრებს მიჰყვებიან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე.

ამ გუნდების ორი დღის წინანდელ შეხვედრაში რუსთაველებმა გაიმარჯვეს. თუ რუსთაველები კვლავაც გაიმარჯვებდნენ, ისინი პრაქტიკულად ფლეი-ოფში მოთამაშეთა შორის ხვდებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. „შევარდენმა", რომელსაც წინა შეხვედრაც არ ჩაუტარებია ურიგოდ და ბოლოსკა დათმო უპირატესობა, ამჯერად თავიდან ბოლომდე კარგად ითამაშა. შევარდენელები უფრო კოლექტიურად თამაშობდნენ და თითქმის მუდამ წინ იყვნენ, 11 ქულითაც კი. სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა კარგად ითამაშა და თუმცა რუსთაველებმა საფინიშო ძალის მოკრებით სცადეს უპირატესობის გამოგლეჯა, „შევარდენმა" მაინც გაიმარჯვა და ოთხეულში მოხვედრის შანსი დაიტოვა. რუსთაველთაგან იმ დღეს კარგად ითამაშა გაბისონიამ, რომელმაც ექვსი სამქულიანი ჩააგდო.

VI-XI ადგილები

**8 აპრილი. მაკაბი — მერანი 81:66, ასკ — კოლხა 96:88, დინამო 2 — კაქტუსი 77:76.**

არმიელებმა ჩინებულად ჩაატარეს ეს ტური და ყველა მეტოქე დაამარცხეს. „კოლხასთან" მატჩის ბედიც პირველ ნახევარშივე გადაწყდა, როცა ასკ 17 ქულით დაწინაურდა.

„დინამო 2"-სა და „მართვე-კაქტუსის" მეტად პრინციპულ და დაძაბულ შეხვედრაში ახალგაზრდა დინამოელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს. დინამოელმა ბაბიაშვილმა 25 ქულა შესძინა გუნდს, კაქტუსელმა ლოსაბერიძემ — 20.

რამდენიმე უხეირო მატჩის შემდეგ გაიმარჯვა „მაკაბიმ", რომელმაც ძირითადად ძლიერად ჩატარებული მეორე ნახევრის წყალობით დაამარცხა „მერანი".

I-V ადგილები

| | | | |
|---|---|---|---|
| ვითა | 18 | 1693:1362 | 18 |
| სდასუ | 18 | 1602:1449 | 14 |
| დინამო | 18 | 1759:1448 | 13 |
| ქიმიკოსი | 19 | 1604:1566 | 9 |
| შევარდენი | 19 | 1611:1659 | 9 |

VI-XI ადგილები

| | | | |
|---|---|---|---|
| ასკ | 20 | 1642:1652 | 10 |
| მაკაბი | 20 | 1589:1643 | 10 |
| დინამო 2 | 20 | 1493:1716 | 8 |
| კაქტუსი | 20 | 1375:1684 | 7 |
| კოლხა | 20 | 1407:1690 | 5 |
| მერანი | 20 | 1336:1599 | 3 |

**ქუთაისის „იმერეთი" მოიხსნა გათამაშებიდან, მისი შედეგები გაუქმებულია.**

# სტუდენტობამ ახეირა

**მამუკა აბრამიძე. 23 წლის. 196 სმ. თამაშობდა „დინამოში", „კაქტუსში" და „ვითაში". ამჟამად სდასუს კაპიტანია.**

წლევანდელი საკალათბურთო სეზონის ნამდვილი სიურპრიზი სდასუს ჩინებული თამაშია. ამ გუნდს შარშანაც საკმაოდ მაღალი — მეოთხე ადგილი ერგო ჩემპიონატში, მაგრამ წელს თუ სტუდენტები ლიდერთა დავაში ჩაერეოდნენ, ამას ალარავინ ელოდა. ჩემპიონატის წინ უეჭველ ფავორიტებად, რაღა თქმა უნდა, „ვითა" და „დინამო" ითვლებოდნენ. შარშანდელ სეზონში ამ ორ გუნდს არცერთ მეტოქესთან არ წაუგია და მხოლოდ ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას. წელს კი სდასუს მჯობი მხოლოდ „ვითაა", დინამოელებს კი სტუდენტები ერთი ქულით უსწრებენ. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ სდასუ მთელ ჩემპიონატს, ფაქტობრივად, ერთი ხუთეულით ატარებს. გუნდში მოვიდნენ აბრამიძე, დავითულიანი, დერიუგინი, აბულაძე. სტუდენტთა შარშანდელ ლიდერთან — ჩუბინიძესთან ერთად ისინი ჰქმნიან გუნდს, რომელიც ლაღ, ლამაზ კალათბურთს თამაშობს და რომლის სანახავადაც სიხარულით მოდიან მაყურებლები. ეს ხუთეული მშვენივრად თამაშობს. მის თამაშს კი ჩინებულად წარმართავს მამუკა აბრამიძე, რომელიც ამ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა. მამუკას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ მისგან მაღალი კლასის კალათბურთელი დადგეს: გამთამაშებლის კვალობაზე საკმაოდ მაღალი, კოორდინირებულია, აქვს საუცხოო დრიბლინგი და შორიდან ტყორცნები.

**— მამუკა, შარშან „ვითაში" თამაშობდით და ერთგვარად ჩრდილში იყავით, წელს კი მკვეთრად მოუმატეთ. რით ახსნით ამას?**

— „ვითაში" მეორეხარისხოვან როლს ვასრულებდი, სდასუში კი თამაშის წარმართვა მევალება, მოედანზეც მეტ ხანს ვარ და პასუხისმგებლობაც უფრო დიდი მაქვს. ალბათ ამან გამოიწვია ის, რომ მოვუმატე.

**— თქვენი გუნდი, ფაქტობრივად, ერთი შემადგენლობით თამაშობს მთელ ჩემპიონატს. სულ იყო იმის მოლოდინი, რომ ვერ გაუძლებდით. მაგრამ აგერ ჩემპიონატის ბოლოა და თქვენ ისევ კარგად თამაშობთ. რამ განაპირობა ეს?**

— სდასუ ძალზე შეკრული გუნდია. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და როცა გუნდში ასეთი ატმოსფეროა, დაღლასაც უძლებთ.

**— მოედანზე მართლაც ასეთი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებთ...**

— ეს, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ დავითულიანი, აბულაძე, ჩუბინიძე და მე კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და ერთადაც ვთამაშობდით „კაქტუსში". მანამდეც ყველა ერთ — 58-ე სკოლაში ვეზიარეთ კალათბურთს. დერიუგინი კი ისეთი ოსტატია, მასთან ნებისმიერს უნდა გაუადვილდეს თამაში.

**— პირველ წრეში ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი იყავით, ახლა კი თქვენმა შედეგიანობამ იკლო. რისი ბრალია ეს?**

— ალბათ, მაინც დაღლილობის და ეს უპირველესად სნაიპერულ თვისებებს დაეტყო.

**— თქვენმა გუნდმა ვითელებსაც გაუმართა ბრძოლა. მეორე შეხვედრა „ვითასთან" კი უბრძოლველად დათმეთ. რატომ?**

— „ვითას" შემდეგ ორჯერვე „დინამოსთან" გვიწევდა შეხვედრა. როცა „ვითას" მთელი ძალები შევალიეთ და წავაგეთ, მეორე დღეს „დინამომ" იოლად მოგვიგო. ამიტომ, მეორედ ძალები დავზოგეთ და „დინამოსთან" გავიმარჯვეთ. „ვითასთან" მოგება ჩვენთვის ძნელია, აი, „დინამო" კი წელს დავჯაბნეთ — 2:1 ჩვენს სასარგებლოდ.

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თუ „ვითასთან" მოხვდით ფინალში, უბრძოლველად დანებდებით?**

— რასაკვირველია, არა. ფინალში დასაკარგი არაფერი გვექნება.

**— უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან თუ გრძნობთ ყურადღებას?**

— რა თქმა უნდა, და ეს ჩვენს პასუხისმგებლობას ზრდის.

**— ალბათ, იმასაც გაგვიმხელთ, რომელ ადგილს გეგმავთ...**

— ყველაზე ცოტა მე-3 ადგილს. მეორე კი ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება.

**— შეძლებთ ამას?**

— „დინამოს" ჯერჯერობით ვჯობნით — აკი გითხარით, ჩვენი წლევანდელი შეხვედრების საერთო ანგარიში 2:1-ია. გარდა ამისა, მალე ქუთაისელი დათო ბერეკაშვილი დაგვემატება და ეს ჩვენთვის ურიგო შენაძენი არ იქნება. თუმცა, ევროთასებზე თუ გავედით, კიდევ 3-4 მოთამაშის დამატება დაგვჭირდება.

**— ნაკრების მწვრთნელი ბესიკ ლოპარტელიანი თქვენი და დავითულიანის ნაკრებში გამოცდას აპირებს. მზად ხართ ნაკრებში სათამაშოდ?**

— ამაზე მწვრთნელებმა უნდა იმსჯელონ.

**— თქვენ გამთამაშებელი ხართ, ამ ადგილზე ვისი თამაში მოგწონთ?**

— დავით უსტიაშვილის და დავით თორთლაძისა.

**— თუ გრძნობთ, რომ პოპულარული ხართ?**

— ვგრძნობ. შემჩნევა ძნელი არ არის.

**— თქვენი გეგმები?**

— უპრიანი იქნებოდა კლასის ასამაღლებლად ცოტა ხნით რომელიმე უცხოურ კლუბში წასვლა, მაგრამ ამას სათანადო მომზადება სჭირდება. ამიტომ ერთი წელი ჩემს თავზე ვიმუშავებ და მერე ვნახოთ.

**— ნაკრები?**

— ამაზე ალარაფეს ვამბობ. ნაკრებში თამაში ხომ ყველა მოთამაშის ოცნებაა.

მამუკა აბრამიძე ყველა მატჩში პირველიდან ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად იბრძვის და ამიტომ არავის გააოცებს, თუ კალათბურთისადმი ასეთი დამოკიდებულებით თავისი ოცნება რეალობად აქცია.



1994 წლის სექტემბერი. მაშინ კაქტუსელი მამუკა აბრამიძე სამარელი მფრინავების გავლას ლამობს

**ილია მხეიძე**

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

7 აპრილი

**შარლოტი — კლივლენდი 110:105, მაიამი — დეტროიტი 94:88, ჩიკაგო — ფილადელფია 128:102, პორტლენდი — დენვერი 110:104, იუტა — სან ანტონიო 116:93**

8 აპრილი

**ტორონტო — ვაშინგტონი 100:94, მაიამი — ნიუ ჯერსი 94:92, კლივლენდი — ნიუ იორკი 93:73, დალასი — პორტლენდი 87:82, ორლანდო — მილუოკი 97:82, სან ანტონიო — დენვერი 96:90, ფინიქსი — მინესოტა 115:107, ლეიკერზი — გოლდენ სტეიტი 109:85, ჰიუსტონი — კლიპერზი 127:117, საკრამენტო — ვანკუვერი 109:93**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 66 | 10 | 86,8 |
| *მაიამი* | 58 | 18 | 76,3 |
| *ნიუ იორკი* | 53 | 23 | 69,7 |
| *დეტროიტი* | 51 | 24 | 68,0 |
| *ატლანტა* | 51 | 24 | 68,0 |
| *შარლოტი* | 49 | 26 | 65,3 |
| ორლანდო | 42 | 34 | 55,3 |
| კლივლენდი | 39 | 37 | 51,3 |
| ვაშინგტონი | 39 | 37 | 51,3 |
| ინდიანა | 37 | 38 | 49,3 |
| მილუოკი | 29 | 46 | 38,7 |
| ტორონტო | 28 | 48 | 36,8 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 51 | 31,1 |
| ფილადელფია | 21 | 54 | 28,0 |
| ბოსტონი | 13 | 63 | 17,1 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *იუტა* | 58 | 17 | 77,3 |
| *სიეტლი* | 52 | 24 | 68,4 |
| *ჰიუსტონი* | 52 | 24 | 68,4 |
| *ლეიკერზი* | 52 | 24 | 68,4 |
| *პორტლენდი* | 45 | 33 | 57,7 |
| მინესოტა | 37 | 39 | 48,7 |
| ფინიქსი | 37 | 39 | 48,7 |
| კლიპერზი | 34 | 42 | 44,7 |
| საკრამენტო | 31 | 45 | 40,8 |
| გოლდენ სტეიტი | 28 | 48 | 36,8 |
| დალასი | 23 | 53 | 30,3 |
| დენვერი | 20 | 56 | 26,3 |
| სან ანტონიო | 20 | 56 | 26,3 |
| ვანკუვერი | 12 | 66 | 15,4 |

*გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფლეი-ოფში*

## ჭიდაობა

# ამერიკამ რუსეთი დაანგრია

ამერიკის ქალაქ სტილკოთერში დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელი და რუსი მოჭიდავეები გავიდნენ. მსოფლიო თასების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ოკეანისგაღმელებმა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს აჯობეს. საერთო ანგარიშია 8:0.

ფინალში შეხვედრები ასე დასრულდა:

**ლუ როსელი — ლეონიდ შუშონოვი 4:3, კენდალ კროსი — მურად უმახანოვი 7:6, ჯონ ფიშერი — შამილ უმახანოვი 10:0, თაუნსენდ სონდერსი — ისლამ მატეევი 9:3, პატ სმიტი — ადამ ბაპაროვი 8:2, კევინ ჯექსონი — მაშედ იგაევი 3:1, მაიკ ვან არსდეილი — სერგეი კოვალევსკი 7:6, ბრიუს ბაუმგარტნერი — დავიდ მუსულბესი 2:1**

ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა კენდალ კროსმა მურად უმახანოვთან გამარჯვებით კარიერა დაასრულა. გაუჭირდა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ბაუმგარტნერს, ვინაც მხოლოდ დამატებით დროში სძლია მუსულბესი. ბაუმგარტნერმა მერვედ მოიგო მსოფლიო თასი. ჯექსონმა, 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა — მეოთხედ, როსელი, კროსი, ფიშერი და ვან არსდეილი კი პირველად დაეუფლნენ ამ ჯილდოს.

მესამე ადგილზე კუბელები გავიდნენ, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში გერმანიას აჯობეს.

გამოვლინდნენ მსოფლიო თასის პირადი პირველობის გამარჯვებულნიც. წონითი კატეგორიების მიხედვით ესენი არიან:

**ლუ როსელი (აშშ), კენდალ კროსი (აშშ), ჯონ ფიშერი (აშშ), იოხმანი სანჩესი (კუბა), ალექსანდერ ლაიპოლდი (გერმანია); კევინ ჯექსონი (აშშ), მაიკ ვან არსდეილი (აშშ), ბრიუს ბაუმგარტნერი (აშშ).**

აღსანიშნავია, რომ 58 კგ წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კანადელმა გივი სისაურმა.

# ოსლო — ბოლო რეპეტიცია

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მაისში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, ამიტომ კარს მომდგარ კონტინენტის პირველობას ჩვენი მოჭიდავეები ინტენსიური ვარჯიშით ეგებებიან. ახლახან ბიჭებმა ბორჯომში გაიარეს შეკრება, შემდეგ ნაკრების წევრები ორიოდ დღით თბილისს შეიყარნენ, ფალავანთა კლუბში ივარჯიშეს და დღეს ნორვეგიაში გაემგზავრნენ ოსლოს „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. ეს ტურნირი, ტრადიციულად, ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო შეჯიბრებაა და მისი შედეგები ნაკრების ხელმძღვანელთ ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს.

სამწუხაროდ, თბილისში ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე დაშავდა კობა გულიაშვილი და გუნდს გამოაკლდა. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ექვსი ფალავანი იახლა ნორვეგიაში:

**ვაჟა ომანიძე (54 კგ), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ხვიჩა ბიჩინაშვილი (76), ემზარ მახარაძე (85) და ბაკურ გოგიტიძე (97).**

ბეგი დარჩიას გარდა გუნდს მწვრთნელად ვლადიმერ ადეიშვილიც გაჰყვა, ხოლო ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თემურ ყაზარაშვილი ოსლოს ტურნირზე იმსაჯებს.

## ხელბურთი

# მესამეზე

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი შეხვედრა წააგო სტუმრად ბელგიის ნაკრებთან და შეჯიბრება მესამემ დაასრულა. მომდევნო ეტაპზე შვეიცარიელები გავიდნენ, რომელთაც, მართალია, იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც ფინელებმა (მათ შორის ორ მატჩშიც ბურთების სხვაობა თანაბარია), მაგრამ შვეიცარიამ უფრო მეტი გოლი გაუტანა ყველა მეტოქეს.

**ბელგია — საქართველო 22:18**

**ბელგია: პოლფლიუ, საკასკი, ბიულენი (2), დე ნილი (1), დელტომბი (11), ძაფიჩი (2), ომბელესტი (1), ცორჟი (1); ხეპოვიჩი (2), ფინე (2), დოვინი, ვერმიულენი**
**საქართველო: ერაძე, კუნჭაძე; ანდრიაშვილი (2), ბოყოჩაძე (2), ორჯონიკიძე (4), მეიფარიანი (2), კალანდაძე (2), კუკულიძე (2); დათუკიშვილი (1), გვაზავა, თორდია (3)**

შვეიცარია — ფინეთი 26:25 (პირველი მატჩი 23:24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 4 | 0 | 2 | 152:135 | 8 |
| ფინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 142:138 | 8 |
| საქართველო | 6 | 2 | 1 | 3 | 132:136 | 5 |
| ბელგია | 6 | 1 | 1 | 4 | 111:138 | 3 |

## ჰოკეი

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

**7 აპრილი. ჰართფორდი — ბუფალო 4:2, მონრეალი — აილენდერზი 2:1, რეინჯერზი — ფილადელფია 3:2, ფინიქსი — დალასი 2:2, სან ხოზე — ვანკუვერი 2:3**

ორშაბათის გამართული ხუთი მატჩიდან ორი პრინციპული იყო — ურთიერთობას აღმოსავლეთის ფლეი-ოფში გასვლის პრეტენდენტები არკვევდნენ.

ისეთი პირი უჩანს, თასს საბოლოოდ დაემშვიდობება აილენდერზი. მარტის ბოლოს მოპოვებული სამი გამარჯვების შემდეგ აპრილის დასაწყისი ძალზე უღბლო იყო „კუნძულელთათვის", რაზეც 5 მატჩში აღებული ერთადერთი ქულაც მეტყველებს. მონრეალთან შეხვედრაში ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა, როცა მასპინძელთა ფორვარდმა ბრიუნემ გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. კანადელებმა მშრალზე დატოვეს პალფი-რაიხელის მრისხანე დუეტი, რომელმაც ამჯერად უგოლოდ დატოვა მოედანი. მონრეალი კვლავ მეშვიდეა კონფერენციაში, მაგრამ მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ჰართფორდი და ოტავა.

ჰართფორდმა მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვა ბუფალოსთან მატჩში. უნდა ითქვას, რომ ბუფალოელთა გოლკიპერს, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს ჰაშეკს სანდერსონის ერთგვარი რიდი გაუჩნდა, რადგან ჰართფორდის წამყვანმა ფორვარდმა მას 7 შაიბა შეუგდო. ამჯერად სანდერსონმა ორჯერ გააწბილა ბუფალოელი და გადამწყვეტი მესამე და მეოთხე გოლები გაიტანა. რაც შეეხება ბუფალოს, მან ბოლო ხანს საგრძნობლად უკლო ტემპს (1 მოგება 8 მატჩში), თუმცა „სეიბრზმა" კარგა ხანია მოიპოვა თასზე თამაშის უფლება. ბუფალოელთა ახალწვეულმა ექს-ედმონტონელმა შატანმა წინა მატჩში გაკეთებულ ჰეთ-თრიქს 2 (1+1) ქულაც დაუმატა. უქმეებზე ერთი ჰეთ-თრიქი სანხოსელმა გრენატომაც მოითვალა.

რეინჯერზისა და ფილადელფიის მატჩში უპირატესობა თითქოს „მფრინავებისა" იყო, მაგრამ მეორე პერიოდში, როდესაც ისინი 2:1 იგებდნენ, ლინდროსმა (1+0) ორმაგი ჯარიმა მიიღო, რაც უმალ გამოიყენეს ნიუიორკელებმა: 45 წამის განმავლობაში რეინჯერზმა გრეცკის (2 პასი) მონაწილეობით ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა და კონფერენციაში მეოთხე ადგილზე მყოფ ფლორიდას ახლა ქულითღა ჩამორჩება.

ბრწყინვალე 11 მატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ (9 მოგება და 2 ფრე) შეფერხდა დალასი და ანაჰაიმთან წაგების შემდეგ ფინიქსშიც დაკარგა ქულა.

გასულ უქმეებზე კიდევ ორი მშრალი ჩაატარა ნიუ ჯერზიმ და თუ ბროდერის (9 მშრალი მატჩი) მიღწევა გაკვირვებას არ იწვევს, მისი შემცვლელის დანჰემის ბრწყინვალე თამაში სენტ ლუისთან (30 მოგერიება) აღნიშვნის ღირსია.

სტენლის თასის დარჩენილი საგზურების ბედი 9 აპრილს გადაწყდება ოტავა — ჰართფორდისა და ჩიკაგო — სენტ ლუისის ჭიდილში. ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი, ფაქტობრივად, გაიძლებენ თასზე გასვლას. ფლეი-ოფის მიღმა დარჩენილი გუნდებიდან კი ბევრ მოთამაშეს უკვე ელიან ეროვნული ნაკრებების თავკაცები — მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხომ სამი კვირაღა დარჩა.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: ლემიე (პიტსბურგი) 117 (49+68), სელიანე 108 (49+57), კარია (ორივე ანაჰაიმი) 96 (42+54), იაგრი (პიტსბურგი) 95 (47+48), ლეკლერი (ფილადელფია) 95 (49+46), გრეცკი (რეინჯერზი) 95 (25+70), სუნდინი (ტორონტო) 91 (40+51), პალფი (აილენდერზი) 89 (48+41), შენაჰანი (დეტროიტი) 88 (47+41), ფრენსიზი (პიტსბურგი) 86 (26+60), ფორსბერგი (კოლორადო) 84 (27+57), მესიე (რეინჯერზი) 83 (36+47), ტკაჩუკი (ფინიქსი) 82 (50+32), მოდანო (დალასი) 82 (35+47), აიზერმანი (დეტროიტი) 82 (19+63).

სნაიპერები: ტკაჩუკი 50, ლემიე, სელიანე და ლეკლერი 49, პალფი 48, იაგრი და შენაჰანი 47, ბონდრა (ვაშინგტონი) 44, კარია 42.

გინდათ იყოთ ჯანმრთელი?
გინდათ გქონდეთ ლამაზი აღნაგობა?
გინდათ გქონდეთ ლამაზი სახის კანი?
მოგვმართეთ!!!
☎ 98-58-97

## კრივი

# ვაი, წარბი

### დიდი კრივი ჩაიშალა



ჭორად ისმოდა, მაიკ ტაისონმა ბოლო კვირეებში ფლორიდის ბარებში ქეიფს-მოუხშირაო. ეს ცნობა კატეგორიულად უარყო ნაციხარი მოკრივის ახალმა მწვრთნელმა რიჩი ჯაკერიმ. მან განაცხადა, ღმერთსა ვთხოვ, მაიკის მომავალი მეტოქე ევანდერ ჰოლიფილდიც იგივეს ფიქრობდეს; მაშინ ყველაფერი დამთავრებული იქნებაო.

ჯაკერის მტკიცებით, ტაისონი დილით დგებოდა, კროსს დარბოდა, მერე კი დარბაზშიც ბევრს ვარჯიშობდა და მზად იყო ჰოლიფილდთან მატჩ-რევანშისთვის, რომელიც მენეჯერთა-მენეჯერ დონ კინგს 3 მაისისთვის, ლას-ვეგასში დაენიშნა.

გუშინწინ ღამით გაირკვა, რომ ჰოლიფილდ — ტაისონის ხელახალი შერკინება 3 მაისს აღარ გაიმართება. ტაისონის ბანაკმა გამოაცხადა, რომ მოკრივეს ვარჯიშზე გასკდომია მარცხენა წარბი და რაკი იგი მალე ვერ შეუხორცდება, დათქმულ დროს ჰოლიფილდს კრივის მსოფლიო ასოციაციის (ვბა) სარტყლის დასაბრუნებლად ველარ შეერკინება.

## ჩოგბურთი

# მარტო გორანი დევისის თასზე ცოდოა

წინა უქმეებზე დევისის თასის მსოფლიოზე უმცროს ჯგუფებშიც გაიმართა მეორე წრე. ევროპა-აფრიკის I ჯგუფში ბელგიამ ბრიუსელში 3-2 ძლია დანია, სლოვაკეთმა ბრატისლავაში 3-1 მოუგო ისრაელს, ბრიტანეთმა ლონდონში 1-4 წააგო ზიმბაბვესთან, ავსტრიამ კი გრაცში 3-2 ძლია ხორვატია.

გრაცში დიდი მატჩი იყო. ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა პარასკევს ბოლომდე ვერ გაუძლო გილბერტ შალერს, ვინაც 6:3, 6:4, 6:7 (3-7), 2:6, 3:1 გაიმარჯვა. მერე ავსტრიელთა ლიდერმა თომას მუსტერმა ოთხ ხელში ძლია საშა ჰირშონი, გორანმა და საშამ კი შაბათს მუსტერი და უდო პლამბერგერი დაამარცხეს.



კვირას გორანმა 6:7 (5-7), 7:5, 6:7 (5-7), 6:2, 7:5 ძლია თომასი და გუნდური ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ჰირშონმა სამ ხელში წააგო შალერთან და გორანს გარჯა წყალში ჩაუყარა.

## უცხო ხილები

ყარაჩიდან კვლავ შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველ-მოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი

### ყაფლან ჯანდიერი

E-mail

# მსოფლიო სპორტის შორეული ქოქების ელექტრო-ბარათები

6 თვეა, არაფერი მომიწერია. სექტემბრის დამლევს ავსტრალიაში, რა თქმა უნდა, იქაური ბურთაობისა და 13-კაცა (ლიგის) რაგბის ფინალებს დავესწარი. მერეც ბევრი ვიმოგზაურე, დიდ სპორტულ მოვლენას თითქმის არ დავკლებივარ, მაგრამ საკორესპონდენტოდ და მეუცხოხილედ რაღაც ვერ ვიცლიდი. ახლა სამშობლოდან მაცნობეს, რომ „სთარ თი-ვის" მაუწყებლობა განუახლებია. მისი პროგრამა კრიკეტით ყოფილა გაჯერებული. ამის გამო პირველ ჯერზე განზე გადავდე გოლფი, სქვოში, 13-კაცა, ავსტრალიური და მისთანები და საზოგადოების ცნობისწადილის დაკმაყოფილება ტურფა (lovely) კრიკეტით დავიწყე.



კრიკეტის საერთაშორისო საბჭო (იკკ) 1907 წლიდან არსებობს, ტესტის მოთამაშე ქვეყანა კი დღემდე ცხრაა. ეს ამბავი ერთობ აწუხებს ჩემს კარგ ნაცნობს, 55 წლის კალკუტელ მილიონერ ჯაგმოჰალ დალმიიას, რომელიც ორი კვირის წინ 2000 წლამდე აირჩიეს საბჭოს პრეზიდენტად. ჯაგმოჰალს დაწინაურება შარშანვე ეკუთვნოდა, მაგრამ ინგლისმა და ავსტრალიამ პირი შეკრეს, სამხრეთი აფრიკაც მიიმხრეს და იკკ-ის თავმჯდომარედ ერთი წლითაც დატოვეს სერ კლაიდ ვოლქოთი (ვესტ-ინდოეთი).

დალმიია საკრიკეტო რევოლუციას გეგმავს. თითოდღიანი თამაშები ტელევიზიას მთელს მსოფლიოში უნდა გადააცემინოს, ხუთ-დღიანი ტესტების წესები კი ისე უნდა შეცვალოს, რომ ფრე გამორიცხოს. ეს სიახლე ტრადიციონალისტებს ძილს უფრთხობს, მაგრამ ისინი ჯაგმოჰალს მაინც ვერ უწუნებენ კომერციულ-სპორტულ ალღოს: მისი ინიციატივა იყო თითოდღიანთა მსოფლიო თასის მონაწილეთა რიცხვის 12-მდე გაზრდა. შემდეგი ნაბიჯი კი ტესტ-კრიკეტის მარადი მსოფლიო პირველობის შემოღებაა.

კრიკეტს აქვს ბიბლია — ინგლისში გამომავალი „ვიზდენის ალმანახი". ბოლო წლებია, ეს პერიოდული გამოცემა ადგენს ცხრილს, რომელშიც ითვლება შინა და სტუმრად ნათამაშევი ბოლო ტესტ-სერიების ანაც მხოლოდ ტესტების შედეგები. სერიის (მხოლოდ ტესტის) მოგება 2 ქულად ფასობს, ყაიმი — ერთად. რაკი ორი-სამი წლის მანძილზე ყველა ყველას და ისიც შინა და გარეთ ვერ ხვდება, რეიტინგად ქულათა და ნათამაშევ სერიათა სხვაობა მიიჩნევა. ამ საზომით მსოფლიოს უძლიერესი ტესტ-გუნდი ამჟამად ავსტრალიაა.

| | ს | ქ | რ |
|---|---|---|---|
| ავსტრალია | 14 | 22 | +8 |
| ინდოეთი | 13 | 17 | +4 |
| სამხრეთი აფრიკა | 12 | 16 | +4 |
| ვესტ-ინდოეთი | 11 | 14 | +3 |
| პაკისტანი | 12 | 14 | +2 |
| ინგლისი | 14 | 11 | –3 |
| შრილანკა | 14 | 10 | –4 |
| ზიმბაბვე | 10 | 4 | –6 |
| ახალი ზელანდია | 16 | 8 | –8 |

დალმიია „ვიზდენის" რეიტინგის ოფიციალურად შემოღებასა და ტესტ-კალენდრის მოწესრიგებას აპირებს, ამასთან თითოდღიანთა მსოფლიო თასის წელიწადგამოშვებით გამართვის მომხრეცაა.

ბოლო წლებია, უძლიერესი მეტესტის ტიტულს ერთმანეთს ავსტრალია და სამხრეთი აფრიკა ეცილებიან.

II ტესტი: აფრიკელთა კაპიტანმა ჰანსი კრონიემ მარკ ვო რომ გააგდო, კინტოური ჩამოუარა

ოლსპორტი პორტ-ელიზაბეთიდან

ყველაფერი გაარკვია სამ-ტესტა სერიამ, მარტში რომ ჩამთავრდა. ავსტრალიამ 1957 წლის შემდეგ პირველად მოიგო აფრიკაში 2-1.

იოჰანესბურგის „ვონდერერსზე" (28. II-4. II) სტუმრებმა შესვლითა და 196 გარბენით გაიმარჯვეს, პორტ-ელიზაბეთის „სენთ-ჯორჯ პარკზე" (14-17.III) — 2 ბჯით და სერიის მოგება დაიბევეს, პრეტორიის „სენჩურიან პარკზე" (21-24. III) კი მასპინძლებმა სანუგეშო რევანში აიღეს 8 ბჯით. ავსტრალიელებს მარკ თეილორი კაპიტნობდათ, მეორე ტესტის კრიტიკულ მომენტში კი მებჯე იენ ჰილიმ ივარგა — მატჩი ექვსიანით დაასრულა!

ვესტ-ინდოეთში ახლა ინდოეთი სტუმრობს და „კალიფსოს სერიას" მართავს. პირველი ორი ტესტი — კინგსტონის (იამაიკა) „სებაინა პარკზე" (6-10.III) და პორტ-ოფ-სპეინის (ტრინიდადი) „ქვინზ პარკ ოვალზე" (14-18.III) ფრედ დამთავრდა. III ტესტი ბრიჯთაუნის (ბარბადოსი) „ქენზინგთონ ოვალზე" (27-31.III) მასპინძლებმა სასწაულად — 38 გარბენით მოიგეს: ინდოეთს გასამარჯვებლად 120 გარბენი ყოფნიდა, მაგრამ კარიბელებმა მათი ათივე ტაფელოსანი 81 გარბენის ფასად გააგდეს. მერე იყო IV ტესტიც — სენთ-ჯონზის (ანტიგუა) „რიქრიეიშენ გრაუნდზე" (4-8. IV), სადაც სამი დღე გადაულებლად იწვიმა. პოდა, ფრე!



ყაფლან ჯანდიერი
Qaflan@HuzLiBab.edu.pk

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

EUROSPORT

**დღეს, ხუთშაბათს, 10 აპრილს**

11.30 [illegible]; 12.00 [illegible] ჟურნალი „[illegible]"; 13.30 [illegible]; 14.00 [illegible] უმობილი: ლაშქრობა ტუნდრაში. ფინეთიდან; 15.00 რალი (-); 15.30 მოტოციკლი: [illegible] წარდგენა; 16.30 მოტოციკლი: [illegible] პორტრეტი; 17.00 სნოუბორდი: მსოფლიო ტური. ლააქსიდან (შვეიცარია); 17.30 ველოკროსი: მსოფლიო თასი. სან-ფრანცისკოდან; 18.00 ჩოგბურთი. ესტორილიდან (პორტუგალია) (პ); 22.00 სუმო: ბაშოს ტურნირი. ოსაკადან (იაპონია); 23.00 მოტოციკლი: მაიქლ დუენის პორტრეტი; 23.30 „მსოფლიოს უღონიერესი კაცი"; 24.30 ველორბოლა: პარიზი — რუბე. წარდგენა; 1.30 რალი (-); 2.00 ფეხბურთი: თასების თასის ნახევარფინალი. პსჟ — ლივერპული; 3.30 კალათბურთი: ქალთა ევროლიგის ფინალური ოთხეული (4.30-მდე)

**ხვალ, პარასკევს, 11 აპრილს**

11.00 მოტოციკლი: მალაიზიის დიდი პრიზი. კვალიფიკაცია (500 კუბ. სმ) (პ); 12.15 კვალიფიკაცია (250 კუბ. სმ); 13.30 დუენის პორტრეტი; 14.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 15.00 რალი (-); 15.30 ფეხბურთი: თასების თასის ნახევარფინალი (რ); 17.00 მოტოციკლი: კვალიფიკაცია (რ); 18.00 ჩოგბურთი. ესტორილიდან (პორტუგალია) (პ); 22.00 წყალში ხტომა: ევროპის თასი. იტალიიდან; 23.00 მოტოციკლი (-); 23.30 ტრაქტორობანა. პოლანდიიდან; 24.30 კრივი: მძიმე წონა. ვორლიდან (აშშ): ტ. ლუისი — ლ. ბილაპსი, ჯ. ფერგიუსონი — ტ. ვილიამსი; 1.30 რალი (-); 2.00 სამოტოციკლო ჟურნალი „პოული"; 3.00 ფეხბურთი: მსოფლიო თასის ლეგენდები; 4.00 „ოთხი ბორბალი" (4.30-მდე)

STAR TV

**დღეს, ხუთშაბათს, 10 აპრილს**

9.30 კრიკეტი: შარჯას თასი (რ); 10.00 სინგაპურის სრუტის რეგატა; 10.30 აზიური ფეხბურთი (მ); 11.30 გოლფი: ევროპის ტური. საპარას თასი; 12.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. IV ტესტი, V დღე (რ); 13.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 14.30 კალათბურთი: ნბა. კვირის რჩეული მატჩი: სიეტლი — დალასი; 16.30 მსოფლიო სპორტი (მ); 17.30 რესლინგი; 18.30 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 19.00 მოტოციკლი: მსოფლიო პირველობის წარდგენა; 20.00 ფეხბურთი: ინდოეთის ნერუს თასის I მეოთხედფინალი; 22.00 კრიკეტი: შარჯა (რ); 22.30 გოლფი: აშშ-ის ტური. ფრიპორტ-მაკდერმოტ კლასიკი. III დღე; 24.00 აზიური ფეხბურთი (მ); 1.00 მსოფლიო სპორტი (მ); 2.00 მოტოციკლი: წარდგენა (-); 3.00 (?); 4.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 5.00 (?); 5.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 6.30 კრიკეტი: სამხრეთი აფრიკა — ავსტრალია. VI თითოდღიანი

**ხვალ, პარასკევს, 11 აპრილს**

7.30 ფეხბურთი: ნერუს თასი (-); 9.30 კრიკეტი: შარჯას თასის ფინალი (პ); 13.45 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 14.15 კრიკეტი: ფინალი (გ); 18.00 რესლინგი; 19.00 კალათბურთი: ნბა (მ); 19.30 აზიური ფეხბურთი (მ); 20.30 კრიკეტის კვირეული (მ); 21.00 ინდური სპორტი (მ); 21.30 კრიკეტი: ფინალი (რ); 22.00 ფეხბურთი: ნერუს თასის II მეოთხედფინალი; 24.00 გოლფი: (-) ბოლო დღე; 2.00 ცხენოსნობა: ვოლვო (-); 3.00 (?); 4.30 გოლფი: საპარა (-); 5.30 ფეხბურთი: (-) II მეოთხედფინალი

**ზეგ, შაბათს, 12 აპრილს, შუადღემდე**

7.30 რესლინგი; 8.30 ნბა (მ); 9.00 კრიკეტის კვირეული; 9.30 აზიური ფეხბურთი; 10.30 ინდური სპორტი; 11.00 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 11.30 მოტოციკლი: წარდგენა (-); 12.30 კრიკეტი: (-) VI თითოდღიანი; 13.30 გოლფი: (-) ბოლო დღე

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

# ოთხეული თითქმის გაირკვა

**VI კვირა**

4. 04. პუკეკოე. ოქლენდი (ზელანდია) 29 (20) (2ლ: ვიდირი, რ. ბრუქი; 2გ, 5ს: ქეშმორი) — ქენთებრი (ზელ) 28 (13) (3ლ: ნეპია, ლილი, გიბსონი; 2გ, 3ს: მერთენსი)

კანბერა. დედაქალაქი (ავსტრალია) 50 (23) (6ლ: როფი 2, პოლბექი, პარდი, ლარქემი, რობინსონი; 4გ, 4ს: ნოქსი) — ნარინჯი (აფრიკა) 23 (11) (3ლ: ბრინკი, დროცკე, საჯარიმო; გ, 2ს: დებეერი)

დურბანი. ნატალი (აფრ) 29 (9) (2ლ: ეპლფორდი, საჯარიმო; 2გ, 5ს: ლოლისი) — ველინგთონი (ზელ) 24 (14) (3ლ: ს. ბეშოფი, პოუითი, ტ. უმაგა; 3გ, ს: პრესტონი)

5. 04. ბრისბენი. ქვინზლენდი (ავსტ) 37 (31) (4ლ: ფლეთლი, თიუნი, ლითლი, ქოქბეინი; 4გ, 3ს: ილზი) — ოთაგო (ზელ) 24 (10) (3ლ: ვილსონი, ქარინგთონი, საჯარიმო; 3გ, ს: ქელეინი)

6. 04. სიდნეი. ახ. სამხრ. უელსი (ავსტ) 43 (24) (5ლ: ბერქი 3, ფინაუ, ბონდი; 3გ, 4ს: ბერქი) — ჩრდ. ტრანსვაალი (აფრ) 29 (7) (5ლ: ტრომპი, ბუვერი, სნაიმანი, ალბერცი, ოლიფიე; 2გ: ალბერცი, ბუვერი)

| | თ | მ | წ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანბერა | 6 | 4 | 2 | 0 | 5 | 223:169 | 21 |
| ნატალი | 5 | 4 | 1 | 0 | 4 | 207:161 | 20 |
| ოქლენდი | 5 | 4 | 0 | 1 | 2 | 168:125 | 20 |
| პაუტენპი | 5 | 4 | 1 | 0 | 4 | 186:149 | 20 |
| ნარინჯი | 6 | 3 | 3 | 0 | 2 | 187:180 | 14 |
| ველინგთონი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 | 160:138 | 12 |
| ვაიქათო | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 118:110 | 12 |
| ახ. სამხრ. უელ. | 5 | 2 | 3 | 0 | 3 | 144:134 | 11 |
| ქენთებრი | 5 | 2 | 3 | 0 | 2 | 108:135 | 10 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 6 | 1 | 4 | 1 | 3 | 141:215 | 9 |
| ქვინზლენდი | 6 | 1 | 5 | 0 | 2 | 125:177 | 6 |
| ოთაგო | 5 | 1 | 4 | 0 | 2 | 141:215 | 6 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+" გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

VII კვირა. 11. 04: ვაიქათო (ზელ) — ნატალი; 12.04: ოქლენდი — კანბერა, ახ. სამხრ. უელსი — ნარინჯი, ოთაგო — ქენთებრი, პაუტენპი (ტრანსვაალ-ყოფილი, აფრიკა) — ჩრდ. ტრანსვაალი, ქვინზლენდი — ველინგთონი

ზე-12-ის ნახევარი გაილია. მოწინავე ოთხეულის კონტურები გამოიკვეთა. ამ უქმეებზე თამაშთა-თამაშია: ჩემპიონი ოქლენდი ლიდერ კანბერას მასპინძლობს. ეს შერკინება ძალზედ ბევრ რამეს გაარკვევს.

ოქლენდმა წინა უქმეებზე ძლივს მოიგო. „ლურჯებს" აკლდნენ კვაჭი ფითსპატრიქი და ბურჯი ბრაუნი. მათ შერკინებას შავი დღე აყარა ქენთებრისამ და მსაჯ ვოლშს რამდენჯერმე რომ არ მიეჭარა, „ჯვაროსნები" შეიქნებოდნენ პირველი ზელანდიური გუნდი, ვინც ზე-12-ში ოქლენდს მარცხს აგემებდა.

საწყის 10 წუთში ქენთებრი 10:0 დაწინაურდა. მისმა ნაკრებისეულმა ნახევარდაცვამ — მერთენსმა (10) და მარშალმა (9) დაიბრიუვა ოქლენდის სპენსერი (10) და ტონუუ (9). მერთენსი ფეხით დიდებულად წარმართავდა თამაშს, მაგრამ ზედ შესვენების წინ ჩამოწერილი „ოლ ბლექი" ერონი ქლარქი (13) ზედიზედ ორჯერ გაექცათ სტუმრებს. მსაჯმა ორივე ლელო ჩათვალა, თუმცა ოქლენდელებს ბურთი ერთხელ წინ გაუვარდათ, მეორედ კი წინ მიაწოდეს. ამავე პერიოდში რობინ ბრუქმა ისე უმხარა ქენთებრის მცველ მაკდონალდს, რომ ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

მეორე ნახევრის შუაწელში ქენთებრიმ ორი ლელო გაიტანა. ერთის დროს მეიერჰოფლერმა (12) ძირს დასცა ოქლენდის კაპიტანი ზინზან ბრუქი. მერთენსმა ოდენ ერთი გარდასახა და „ჯვაროსნებიც" 28:26 დაწინაურდნენ. 70-ე წუთზე მათი ფიჭელი გარემარბი ბალე ლელოში შეიჭრა, მაგრამ ტონუუმ შებოჭა, 74-ე წუთზე კი შუამარბი გოუინგი რაქში თამაშგარესთვის დაჯარიმდა და



ადრიან ქეშმორმაც, ვის დამრტყმელობის ნიჭსაც აქამდე არა ცნობდნენ, 42 მეტრიდან გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

კანბერამ, პირიქით, ერთობ დამაჯერებლად მოიგო. ეს გუნდი, თავის დროზე ახალი სამხრეთი უელსისა და ქვინზლენდის მონარჩენი მოთამაშეებით რომ შედგა და პროტექციით დაუშვეს ზე-12-ში, მწვრთნელმა როდ მაკქვინმა კოლექტივად შეკრა. კანბერამ შინ ზე-12-ის ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო და ამჯერადაც გადასარევად იბურთავა. გუნდის მთავარი ძალა ერთობ მობილური შერკინებაა, რომელიც მოლით თამაშობს, ნაკრების ნახევარდაცვას — მულატ გრეგანსა (9) და ბებერ ნოქსს (10) კი ძნელად რომ ჰკუით ვინმემ აჯობოს. ესენი მეტოქის დაცვის ბზარებს უმალ შენიშნავენ და იერიშსაც მიმართულებას გენიალურად უცვლიან ხოლმე. ნორჩმა გარემარბმა ჯო როფმა ნარინჯს ორი ლელო გაიტანა და წელს უკვე 7 დაუგროვდა.

ქულათა მაქსიმუმი — ხუთი მოიხვეჭა ავსტრალიის დანარჩენმა ორმა გუნდმაც იმისდა მიუხედავად, რომ ულიმღამოდ ითამაშა. ქვინზლენდმა შესვენებამდე ოთხი ლელო გაუტანა ოთაგოს და ცხრილის ფსკერზე ადგილი გაუცვალა. „წითლების" გამოცდილი ფლანკერი ვილსონი ჯერ გაასინბინეს (10 წუთით გააძევეს), ბოლოს კი მოშუშებული ბეჭი ისევ იტკინა.

ახალმა სამხრეთმა უელსმა და ჩრდილოეთმა ტრანსვაალმა 26 ათას სიდნეელ გულშემატკივარს წყალწყალა შოუ გაუმართეს: 10 ლელო კი გავიდა, მაგრამ მეტოქენი ისე ატარებდნენ ერთიმეორეს, რომ მავანმა კრიტიკოსებმა უკვე სერიოზულად შეუტიეს აქამდე ნაქებ ზე-12-ს, მისი ზოგი თამაში – კალათბურთსა ჰგავსო. ასე იყო თუ ისე, შარშანდელმა უპირველესმა ბომბარდირმა ბერქმა 19 წუთში ლელოთა ჰეთ-თრიქი გაახერხა, სულ კი 33 ქულა მოაგროვა. თამაშის შემდეგ „ვარათაზის" მოძღვარმა ვილიამსმა ბრძანა, ჩვენი ბედი, რომ ჩრდ. ტრანსვაალი ზე-12-ის უსუსტესი გუნდია, თორემ ნაღდად წავაგებდითო.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
**95 26 90**

კვირას, 1997 წლის 20 აპრილს
სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ"
მართავს
**ერთგულების თასის**
მძლეოსნურ კროსს



ტრასა: ვაკის პარკის ხეივნებში
დისტანცია: 4 წრე - 5 240 მეტრი
სტარტი: 11 საათზე

ველინგთონმა მოითავა აფრიკაში სტუმრობა. „გრიგალებმა" წინა ტურში ლიდერი ჰაუტენპი იმსხვერპლეს, ახლა კი ნატალსაც უგებდნენ, მაგრამ საქმეში კვლავ ჩაერია მასპინძელი მსაჯი, ამჯერად ანდრე ვოთსონი. როგორც სტუმართა მწვრთნელმა ოლივერმა შენიშნა, აფრიკელი მსაჯები სამაგიეროს გვიხდიან, რადგან აფრიკის გუნდები ზღვისრეთში რომ სტუმრობენ, აქაურ მსაჯთა ჩვენდამი მიკერძოებით ზარალდებიანო. ამიტომ მეც საჭიროდ მიმაჩნია, მსაჯი ნეიტრალური იყოსო!!!

ვოთსონმა ველინგთონი 13-ჯერ დააჯარიმა, ნატალი — 4-ჯერ. მასპინძელი „ზვიგენები" 9:0 იგებდნენ. მერე ზედ ლელოსთან ბურთი ორჯერ დააგდეს ძირს. სამაგიეროდ, ზელანდიელთა მცველმა ქრისთიან ქალენმა ორი რეიდი მოაწყო, რაც ლელოებით დასრულდა და 52-ე წუთზე უკვე სტუმრები იგებდნენ 21:16.

მერე ლოლისმა ბურთი წინ გაიგდო, ქალენი კი რომ დაეჯახა, ვოთსონმა საჯარიმო ლელო ჩათვალა. ველინგთონი 79-ე წუთამდე მაინც წინ იყო 24:23, მაგრამ მერე მსაჯმა რაქებში კიდევ ორი საჯარიმო დანიშნა და გევინ ლოლისმაც ორივე შეაგდო, რითაც სეზონის მონაგარი 122 ქულას უწია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვევლია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29